

ნინო მელვინეთხუცესიშვილი-მამაცაშვილი  
(1816–1894)

XIX საუკუნის ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – იოსებ მამაცაშვილის მეუღლე, ცნობილი ისტორიკოსისა და მკვლევრის – დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის და; იბეჭდებოდა ჟურნალში „ცისკარი“. მამაცაშვილების სალონში იკრიბებოდნენ იმ პერიოდის მწერლები, საზოგადო მოღვაწეები; იკითხებოდა რეფერატები, იმართებოდა დებატები; მათ სახლში მიიღეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების გადაწყვეტილება. იოსებ და ნინო მამაცაშვილებმა ექვსი ვაჟი და ექვსი ქალიშვილი აღზარდეს. ჩანანერებიდან ჩანს, რომ დედის ძალისხმევით, თორმეტივე შვილმა საუკეთესო სასწავლებლებში მიიღო განათლება და შემდგომ ერთგულად ემსახურებოდნენ ქვეყანას. მოგონებების ავტორი საინტერესოდ აღწერს 1832 წლის შეთქმულებისა და მეუღლის დაპატიმრების ეპიზოდებს, XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

მუზეუმი მადლობას უხდის ნინო მელვინეთხუცესიშვილის შთამომავლებს – ნუნუ საგინაშვილსა და მანანა გედევანიშვილს ნინო მელვინეთხუცესიშვილის ორიგინალიდან გადაწერილი ხელნაწერის საჩუქრად გადმოცემისა და კონსულტაციისთვის.

## ნინო მელვინეთხუცესიშვილი

### მოგონებები



ISBN 978-9941-9480-4-6





© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის  
სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2016

Nino Megvinetkhutsesishvili, Memories

© Literature Museum, Tbilisi, 2016

[www. literaturemuseum.ge](http://www.literaturemuseum.ge)

ტელ.: +995 32 293-20-45

[info@literaturemuseum.ge](mailto:info@literaturemuseum.ge)

გარეკანზე ფოტო:

*ნინო მეღვინეთხუცესიშვილი ქალიშვილებით, 1890-იანი წლები*

გამომცემელი

**ლაშა ბაქრაძე**

რედაქტორი

**თეა თვალავაძე**

დამკაბადონებელი

**დიმიტრი შალუტაშვილი**

ტექსტის ამკრეფი

**ლიანა ქიტიაშვილი**

დაიბეჭდა სტამბაში *ფავორიტი სტილი*

ISBN 978-9941-9480-4-6

ნინო მეღვინეთხუცესიშვილი  
მოგონებები

ლიტერატურის  მუზეუმი  
Literature Museum

თბილისი

2016



ნინო მელვინეთხუცესიშვილი  
ტფილისი, 1870-იანი წლები  
ფოტოგრაფი: არტემ შახბაზიან

წინა სიტყვობა ჩემის ცხოვრებისა, აღწერა სიყრმიდგან ანუ ვინობა და სწავლის მიღება აგრეთვე ჩემის მშობლებისა და ახლა დაბოლოება სამოცდა ცამეტის წელში, როგორ გავატარე ჩემი ყმანვილობა ანუ ქმარშვილიანობა ანუ ჩემს ქვრიობაში რას მდგომარობაში ვიყავი ანუ ეხლა ვარ.

1875 წელსა, გიორგობის თვეს 1.

ძვირფასო შვილო დიმიტრი,

ჩემთვის სასიამოვნოს დამტირებელს თვალებს ათასობით დაგიკოცნი და შენს ას წელს სიცოცხლეს ვისურვი ღვთისა წინა. შენ მოგილოცამ სამს წარსულს დღესასწაულს, სამების ძალმან გამყოფოს ბედნიერათ და სიმრთლით. შენი წიგნი მივიღე, რომელმაც შენის ნახვის მგზავსათ მასიამოვნა. ის წიგნი იყო სიამოვნით და გულით გამოთქმული, რომელიც მარწმუნებდა. შენგან უიმისოთაც დარწმუნებული ვიყავ, რასაკურველია. ეხლა უფრო ამტკიცებ ამ გამოთქმით. შენ მწერ, შვილო, აღმეწერა ჩემი ცხოვრება პირველიდამ აქამომდე. მეც დიდი ხანია მსურდა აღმეწერა, მაგრამ გარემოებამ არ მომცა დრო. პირველათ შენი და – მარიამი რომ გავათხოვე, მაშინ იმან მთხოვა, რომ აღმეწერა. მერე შენმა ძმამ – კოტემ მთხოვა, მიყიდა კნილა, საწერელი კალამი და მელანი, მაგრამ შინაურის საქმის გამო დრო ვერ ვიპოვნე და დარჩა აქამდის. აი, ახლა ვიწყებ, რასაც მოვიგონებ.

მამიჩემის წინაპარნი ყოფილან თამარ მეფის მეღვინეთ უხუცესი. ახალციხეს უცხოვრიათ, რომელიც დღესაც ახსომსთ ის ალაგი, საცა მდგარან იმათი ჩამამავალნი, არიან თათრებათ და ასე ინერებიან – შარაბჩი ოლლი. იქიდამ წამოსულან საქართველოში. ქართლის მეფეს ხლებიან (ერეკლეს) სამნი ძმანი პაატა, თომა და ერთიც ბერი სვიმონი, რომელიც მოსკოვში არქიერათ გარდიცვალა ჩემს 1828-ში. ამათი ბიძები ერთი საციციანიოში დარჩენილა, მეორე კახეთში წასულა და იქ დაბინავებულა. მამაჩემი იყო პაატას შვილი, დედა – მეფის მოძღვრის (შვილი) ქალი ანდრონიკოვისა, დედისერთა. თომას არა ჰყვანდა შვილი, სვიმონს დარჩა ორი ვაჟი – გიორგი და ლუარსაბ. ლუარსაბს ცოლი რომ მოუკვდა, ეკურთხა ბერათ ქვათახევის მონასტერში. პაპაჩემს პაატას და თომასათვის უბოძებია ერთი საბატონიშვილო მამული ხიდისთავში და ყმები, რომელსაც დღესაც უფლებენ.

თომას სცოდნია კარგი ლეკური ლაპარაკი, აგრეთვე თათრული. ლეკურს თურმე ისე ლაპარაკობდა და ტანისამოსაც ისე იცომდა, ლეკებში რომ გაერეოდა, ვერ იცნობდნენ, თუ იმათი ჯარისკაცი არ იყო. როდესაც იმათი საქმის შეტყობა უნდოდა, მივიდოდა და გაერეოდა და იმათს აზრს შეიტყობდა, სად ემზადებიან დასაცემათ. მოვიდოდა და აცნობებდა მეფეს და გააფრთხილებდა. თომას უწოდა მემანდარობა – მაშინდელი თანამდებობა. ეს ნიშნამს ჯარის წინამძღვრობას. როდესაც ლეკები მოვიდოდნენ საქმისათვის, ის გავიდოდა ქალაქს გარეთ



მეფე ერეკლე II

და მოილაპარაკებდა, რისთვისაც იყვნენ მოსულნი. თუ ტყვეები ჰყვანდათ წაყვანილი, იმათს დასხნას ეტყოდნენ. გაურიგდებოდა, მოვიდოდა მეფესთან, მოახსენებდა, ამდენს თუმნათ გაურიგდიო, ფულს წაიღებდა, ტყვეებს მოიყვანდა. ამგვარის თანამდებობის კაცი იყო. იმათ საიდუმლოს შეიტყობდა, საით აპირებდნენ დაცემას, მაშინვე გაამზადებდა იმ მხარეს, რომ არ წამხდარიყო.

მეფეს ამისთვის დიდათ უყვარდა პაპაჩემი, სასახლეში გაუზღდიათ, მერე თავიანთ სასახლეში გაზდილი



ქალი მიუციათ. ის ქალი იყო მცხეთის დეკანოზისა, რომელიც მოძღვარი ყოფილა მეფისა. იმისთვის ყოფილა მცხეთას მეფეების სასაფლაო. იქ იმათს საფლავს ემსახურებოდა გვარათ ანდრონიკოვი. პაპაჩემს მიეცა ერთი ვაჟი, სახელად უწოდეს კონსტანტინე. როდესაც შეიქნა თხუთმეტის წლისა, მაშინ მეფესთან ჩამოიყვანა პაპაჩემა. მშვენიერი სახისა იყო თურმე, თეთრ-წითელი, ლურჯი თვალები ქონდა. ისიც იქ იზდებოდა. ასეთი ჩვეულება ქონდათ მეფეებს, რომელიც კეთილშობილთაგანი იყვნენ, ერთგულნი მეფისა, იმათს შვილებს თვის შვილებთან ზდიდნენ და, რაც მაშინდელი ჩვეულება იყო, მეფესთან სამსახურისა, ისე ემსახურებოდნენ, სამლთოს და საეროს სწავლობდნენ.

გახდა ცხრამეტის წლისა მამაჩემი, შერთეს ცოლი, ესე იგი დედაჩემი ანნა. დედიჩემის მამა იყო შინაური მოძღვარი მეფის ერეკლის, გვარათ წინამძღვაროვი. ის რუსეთში გაეზარდათ სტავროპოლს და შემდგომ, ახალს რუსობას აქ, ტფილისში ცხოვრობდა და რუსის მღვდლათ, ესე იგი ობერსვერნიკათ გადმოეყვანათ. მთავრობასთან კარგათ იყო მიღებული. მაშინდელი რუსული სწავლა კარგათ იცოდა. ტისჩევს და კუტუზოვს, აგრეთვე ერმოლოვს კარგათ ჰყვანდათ მიღებული. ყოველს დღესასწაულში და კვირაობით წირვიდამ თავიანთ სვიტით ზაკუსკაზედ პაპაჩემთან მობძანდებოდნენ, მარამ ეკლესია რუსული არა ჰქონდათ, ნაზარბეგიანთ დარბაზი ჰქონდა ეკლესიათ ველიამინოვის ქუჩაზედ.

მამაჩემს რომ ჯვარი დაუნერია, ისევ თავის სიმამრთან ყოფილა, რადგანაც ძალიან ჰყვარებია დედაჩე-

მი. პირველი შვილი ყოფილა. სოფელში არ გაუშვია, ნებიერი იყო თავის მშობლებისა. ზაფხულით თურმე წავიდოდნენ სამისა და ოთხის თვით. დანარჩენს დროს ქალაქში ატარებდნენ. მამაჩემიც ქალაქში იყო და როდესაც დრო მოვიდოდა სოფლის მუშაობისა, მაშინ წავიდოდა. დედ-მამა ხიდისთავში ჰყვანდა, მამულს მუშაობდნენ.

მე დავიბადე 1814-ში ნოემბრის ათს, გავიზარდე ამავე ქალაქში, პაპიჩემის დეკანოზის სახლში. როგორც დედაჩემი იყო თავის მშობლებისა ნებიერი, ისე მე ვყვანდი ნებიერათ, კარგის ცხოვრებით მინახავდნენ. აგრეთვე მამა მანებივრებდა.

მე ვიყავ ნათლული ალექსანდრე ჭავჭავაძისა გარსევანიძისა. პაპაჩემს ის ნაზარბეგიანთ დარბაზი, რომელიც საყდრათ ჰქონდა, იმ ჭავჭავაძის სახლთან იყო ახლო. როდესაც ნაბძანდებოდა, წირვა-ლოცვისთვის მეც გავყვებოდი. ხუთის წლისა ვიყავ, წამიყვანდა, მითომ შაგირდი ვიყავი. ჭავჭავაძის დედასთან ვიყავ, მანამ პაპაჩემი სწირავდა. ამ ჭავჭავაძის დედას ძმის ცოლი ჰყვანდა ავალიშვილისა და ბევრი შაგირდები ჰყვანდა. იმათში მეც ვერიე იმ ჩემი ნათლიის ქალი ნინო რვას წლისა იყო. როცა ის სწავლას გაათავებდა, მთელი დღე ერთათ ვთამაშობდით. საღამოზედ პაპა მომივიდოდა ლოცვისთვის და მაშინ წამიყვანდა.

შვიდის წლისა რომ შევსრულდი, მამიჩემის დედმა-მა გარდიცვალნენ. შემდგომ, იმავეს წელს დედიჩემის მამაც გარდიცვალა ბედნიერის მუნუკით. ის მაშინ ვარ-



ალექსანდრე ჭავჭავაძე  
ნახატი ალექსანდრე ბერიძის  
ლითოგრაფია კონსტანტინე მესხიევის

თაშენაში ბძანდებოდა განესებული, რომელთაც ქრისტიანობა მიაღებინა, ეკლესიაც აუშენებინა და რაც ქართული ჩვეულება იყო მწუხარების, გადიხადეს. ჭავჭავაძენიც ნაბძანდენ კახეთში.

მე მიმაბარეს თანმინდაში მონოზანს. მოხუცებული იყო, სამღთოს წერილს სასწავლებლათ და ხელსაქმისათვის ღამე დგომით შაგირდები ჰყვანდნენ და შაფათს საღამოს წამოვიდოდით. მაშინდელი ინსიტუტი



ნინო ჭავჭავაძე-გრიბოდოვა  
1854 წლამდე

ის გახლდათ. მამაჩემმა დედაჩემი წაიყვანა სოფელში მეორეს ზაფხულს. მე დავრჩი ქალაქში. დედაჩემი გამხდარიყო ავით. ასე მძიმე ავანტიყოფი იყო, აღარც ფენი ჰქონდა, აღარც ხელი მოძრაობაში. მხოლოდ სმენა და ჭკვა ჰქონდა, ენასაც ვერ იგნებდა, ენაც დაბმული ჰქონდა. მოიყვანეს ქალაქში დედამ და ძმებმა, ძალიან კარგათ მოუარეს, საცა ექიმი გაიგონეს, ყველა მოიყვანეს – რუსი, ქართველი და უცხო ქვეყნისა, ყველას

აჩვენეს. წელიწადს შემდგომ დაიწყო უკეთობა, ხელის ხმარებაც და ლაპარაკიც, კედელკედელ სიარულიც. მჯდომარე რომ კაცს ენახა, ვერ შეატყობდა, თუ ეს ავანტიყოფია. უფროსი ძმა ღვარდიის კაპიტანი იყო, მეორე – პეხოლის პოდპორუჩიკი, მესამე – დრაგუნის იუნკერი.

ამ წინამძღვაროვანთ სახლში დადგნენ მდგმურები, სამნი დანი. ესენი დაკარგულიყვნენ ყეენობას, ხუთნი დანი აღამამადხანის დროს. სამნი გამოპარულიყვნენ – უფროსი, შუათანა და უმცროსი. უფროსი რგებოდა მეძროხე თათარს, შუათანა – მოშადის, ესე იგი იმათი ეპისკოპოზი, უმცროსი – შახადას. ის მაშინ თორმეტის წლისა ყოფილა, უფროსი ყეინის ცოლების მოქარგე იყო, რომელიც იმათ ტანისამოსს კერავდა ოქრომკედით და ძვირფასის მარგალიტით და ფულებით. იმ მეძროხე კაცისაგან ამათ დაიხსნეს და შინ ჰყვანდათ, სხვადასხვა ხელსაქმეც იცოდნენ. მე თანმინდიდან ჩამომიყვანეს და ამათ მიმაბარეს. ამ ხელოვნებისათვის კარგი გონება მქონდა და ხალისი. ბევრჯელ კვირაობით მოვიგონებდი რასმე ხელსაქმეს, გავაკეთებდი, უჩვენებდი ჩემს დიდიდედას და დედას, რომელნიც ძალიან გაიხარებდნენ, გამახალისებდნენ.

საწყალი დედაჩემი ოთხი წელიწადი ისე ავანტიყოფი იყო, რაც ჩემგან შეიძლებოდა, უვლიდი, მაშინ ვისწავლე ავანტიყოფის მოვლა. მე ძალიან მხიარული ვიყავი. ვინც უნდა მოსულიყო სტუმარი და რასაც ილაპარაკებდა, მოძრაობას ვისწავლიდი. რომ წავიდოდნენ,



ტფილისი, 1880-იანი წლები  
ფოტოგრაფი: დიმიტრი ერმაკოვი

წარმოვადგენდი ჩემს ავანტურას დედას და მოხუცებულს ძალუას, დიდიდედას ამით გავამხიარულებდი, ვაცილებდი. რაც უნდა ქართული ძველებური წიგნი წაეკითხა ანუ ზღაპარი ეთქოთ, ასე დავისწავლიდი, მეორეს დღეს შეუშლელათ ვიტყოდი. დედიდა მყვანდა გასათხოვარი, იმას კი ეჯავრებოდა.

გავხდი თოთხმეტი წლისა. ყველგან მატარებდნენ, საცა მიწვეულნი იქნებოდნენ. მაშინ ვეჩერები არ იცოდნენ; ქორწილი, ნიშნობა, ნათლობა საზანდრით – ვისაც როგორ შეეძლო. ერთის ჩვენის ნათესავის ქორწილი იყო. იმის დედას ერთის შვილის მეტი არა

ჰყვანდა. ამისთვის სამი დღე და ღამე იყო შეყრილობა. ჩვენ ერთობით იქ ვიყავით, სამნი ჩემი ბიძები. უფროსი იყო ლეიბ კაზაჩი ღვარდიის პოლკის კაპიტანი, მეორე – ხერსონსკი პოლკის პორიჩიკი, მესამე – დრაგუნი პოლპოდპარუჩიკი. მამაჩემიც იქ იყო. ეს სამნივე ძმანი გამოჩენილნი იყვნენ რუსობაში და ქართველობაში.

დარბაზი იყო შინფარულათ აშენებული, იმას ჰქონდა გვერდით აშენებული მეორე ეტაჟა, საცა ქალები ვისხედით. იმ მეორეს ეტაჟას ბალკონი ჰქონდა დარბაზისაკენ, რომელიც დარბაზში ჩაიყურებოდა, ქალების კედლისაკენ ფანჯრები ჰქონდა ბალკონს. დარბაზში კაცები ისხდნენ. მეფეც იმათთან იყო, დედოფალი ქალებთან კეცებში. ქართული საზანდრები იყვნენ, დამლეროდნენ ბალკონზეც. მუსიკას როცა საზანდრები გაათავებდნენ, კაცები ქალადს თამაშობდნენ. მეფეს ამოიწვევდნენ ხოლმე დედოფალთან, საზანდრებიც ამოვიდოდნენ, დაუკრამდნენ სათამაშოს, ქალები ვთამაშობდით ლეკურს. კაცებიც ამოჰყვებოდნენ, მარამ ისინი ქალებში არ ითამაშებდნენ, მხოლოთ ბალკონიდან იყურებოდნენ, ზოგნი შინ შემოდიოდნენ. სანყალი მამაჩემი იმ ფანჯარასთან დაჯდებოდა, საცა მე ვიჯექი, რომ ყმანვილი კაცი არავინ დამჯდარიყო, რომ კადნიერება არა გაერიარა.

ერთს ყმანვილ კაცს ეთქო ერთის დედაკაცისათვის, კონსტანტინეს ქალი რომ გამოვიდეს ბალკონზედ, მოუდექი გვერდზე და ჩემი თავი უქე, უთხარ, უყურე, რა ღამაზია ის კაცი, კარგი ჩინიც აქვს და სიმდიდ-

რეც. მართლაც, რამდენჯერაც გავედი ბალკონზედ, აგრეთვე სხვა ქალნიც იმდენჯერ მომიდგებოდა და იმას მელაპარაკებოდა ბეზარით. რომ მომიყვანა, მაშინ უთხარი, თვალს კი არ მოვაცდენ და მაგას არ დაუნყებ ყურებას. ამითი მოვიშორე ის დედაკაცი. მრავალი ქალნი და კაცნი იყვნენ მოწვეულნი. მეორეს ღამეს უფრო ბევრნი ყმანვილი კაცები შეიყარნენ ერთიერთმანეთისათვის ეთქვათ, ვინც გასათხოვარი ქალები ვიყავით. მაშინ იქ მითომ სილამაზით გამოჩენილი ვიყავ კონსტანტინეს ქალიც.

მაშინ იოსებიც ქალაქში ემსახურებოდა სუდის პრავოში პერეოდრიკათ. ესეც მეორე ღღეს მოვიდა. მაჩემსაც კარგათ იცნობდა, ბიძაჩემებსაც. პირველს ღამეს, რომელიც სამის წლის წინ ჟენიხი მყვანდა, არ იყო, მეორეს ღამეს მოვიდა. ამ სამს წელიწადის გამლობაში ახლო აღარ ვენახე. რომ მნახა, გაუკვირდა რომ ტანათაც, თვალათაც უკეთესი ვიყავ.

მეფე ამოვიდა დედოფალთან და საზანდრებიც, ხალხიც ამოჰყვა. უფრო ყმანვილ კაცობა მიართვეს დედოფალს პირის სანახავი. თავის მახლობლებმა დაუკრეს ლეკური, ქალებმა ვითამაშეთ. მამაჩემი ამოსულა ბალკონზედ და იმ ფანჯარასთან დამჯდარა, საცა მე ვიჯექ. ახლა ქართული ლეკური რომ გათავდა, მუზიკამ ლეზგინკა დაუკრა. მე ვითამაშე, სხვებმა არ იცოდნენ მუზიკა. მე ტანცაობაც ვიცოდი. კვირაში ერთხელ სადილი ჰქონდა ბიძაჩემს, მუზიკა ყოველთვის იყო. მე ამისათვის ვიცოდი. მივიხედე მამიჩემისაკენ





იოსებ მამაცაშვილი  
ტფილისი, 1850-იანი წლები  
ფოტოგრაფი: არტემ შახბაზიან

და ვნახე, მამაშენიც, შვილო, იმას რომ დაუნახავს. მა-  
მა მელაპარაკება, ეს ერთიც ითამაშე მუზიკაზე, მერე  
ნულარ ითამაშებ, დაილალებიო. სულ ერთ ხმათ კვი-  
რობდნენ, როგორა ჰყვება მუზიკასო, რომ ასე კარგათ  
თამაშობსო. ხალხი და მეფე ისევ ჩავიდნენ, დარჩა კი-  
ბის თავზედ პირველი საზანდარი, რომელიც იყო ჩვენი  
მეზობელი და ცოლშვილიანათ შინაური. ჩემი პირველი  
ჟენიხი და ეს საზანდარი კიბის თავზე ბუფეტში იყვნენ

და ეხვეწებოდა, რომ ბიძაჩემთან და მამაჩემთან მოე-  
ლაპარაკებინა. ეს ჩემა დიდიდედამ გაიგონა, დაუძახა  
საზანდარს, პეტრუზ, შენცა და მაგანაც პირი ქვიშით  
გამოიხეხეთ, ისე ილაპარაკეთ. მამაჩემიც და ბიძაჩე-  
მიც საშინელ სტროგები იყვნენ. ჩვენც, ქალები რომ  
ჯდომისაგან დავიღალეობდით, ბალკონზედ გავიდო-  
დით, კაცების ქაღალდის თამაშობას უყურებდით, ეს  
სამი დღე და ღამე კარგათ გავატარეთ. გათავდა ეს  
ქორწილი.

გაზაფხულზედ იყო ჩვენი მეზობელი ქალის ქორ-  
წილი. ჩემი ძმა დიმიტრი იყო თორმეტის წლისა. ამას  
სთხოვეს მეჯვარეობა. ბიძა ჩემს ვერ გაუბედეს, რად-  
განაც იყვნენ მდაბალის ხარისხისანი ხელოსნები. ქა-  
ლი აზნაურს მისცეს, სამსახურში იყო. თუმც ბიძაჩემს  
არ ჰქონდა ამპარტავანი ხასიათი, მაინც მოერიდნენ.  
ქორწილში ერთობ მიწვეული ვიყავით, ათი ბილეთი  
მოუტანა სასიძომ, ვისიც თავი გნებავდესთ, მოიწვიე-  
თო. იმასაც თავის ნაჩაღნიკი ჰყვანდა დაპატიჟებული,  
ვინც იმის მეგობრები იყვნენ, ჩვენი მეზობლები კე-  
თილშობილნი – იყვნენ ქალი და რძალი ქრმებით.

ამ დროს მოვიდა მამაშენი ბიძაჩემთან და იმის ამ-  
ხანაგი წინამძღვაროვი გორის უეზდისა. ესენი ერთათ  
ემსახურებოდნენ და ერთათ დადიოდნენ ბიძაჩემთან,  
მარამ ქალებს კი ვერა გვნახამდნენ, მაშინ ასეთი ჩვეუ-  
ლება იყო. ბიძაჩემმა დაუძახა ჩემს ძმას. ეს გახლავთ  
ჩვენის მეზობლის მეჯვარე. კვირას ქორწილი იქნება.  
ამას ნება აქვს ათის კაცისა, რომ მოიწვიოს და თქვენ

ორთავეს გთხოვსთ. აილო ორი ბილეთი, მისცა. ამათ ძალიან ესიამოვნათ, მარამ ჩემი ძმა ჯავრობდა, მეჯვარეთ არ წავალო, ცოტა ფხუკიანი იყო.

კვირას სალამოს წავიდნენ, წაიყვანეს მეჯვარე, დასწერეს ჯვარი. დედიდა ჩემი არ ემზადება, არც მე და არც ჩემ ბიძაშვილს ამზადებს. ისიც გასათხოვარია. არ გვიშვებს. მოდიან პატარძლის ნათესავეები, ეხვეწებიან, წამობრძანდითო. ბოლოს საქმე გაუჭირდათ, ბიძაჩემს შეატყობინეს. იმანაც იკითხა, აქამდინ რათ დაიგვიანესო, თქვენი და არ მოდის, ქალებიც უიმისოთ ვერა ბედავენ მოსვლას. მაშინ თავის უმცროს ძმას უთხრა, წადი შენ და მოიყვანეო, თუ თითონ არ მოვა, ქალები გამოგზავნოს, წინას და თინათინს ჩააცონ, მე მოვალ და წამოვიყვან. ძალიან ახლო ვიდექით მაშინ. დედიდაჩემიც მოემზადა და წაგვიყვანა ყველანი. ვინც გვიცნობდნენ, სიამოვნით მოგვეგებნენ, საცა პირველი ალაგი იყო, იქ მიგვიწვიეს.

საზანდრები მღეროდნენ, ზოგნი ქალაღდს თამაშობდნენ. როდესაც დავსხედით, მაშინ დავათვალიერე და უთხარ ჩემ ბიძაშვილს, აქ რო დიდი თვალებიანი კაცი იყო, რა იქნა. ეს იყო მამაშენი. იმან ვერა გაიგორა. ისევ დავინახე, უთხარ. დედა ბოძს მოჰფარებიან, ორნივ ამხანაგები იქიდამ გვიყურებდნენ. ძველებური დარბაზი იყო, კედლებზედ მოფარებული ფარდაგები ეფარა, რომელიც ჩემმა ბიძებმა მოიტანეს აზრუმიდამ, ოქრომკედ ნარევეები, მშვენიერები, პასკევიჩის რომ ომი იყო. შემდგომ თამაშობა ისურვეს, დაუკრეს

საზანდარებმა, ითამაშა წინამძღვაროვმა. ამათ ორთავე ქართულათ ეცოთ. მოვიდა, რომელიც ჩემთან ქალი იჯდა, ის ნაცნობი იყო იმისი, იმას თავი დაუკრა, ადგა, ითამაშა. მერე იმ ქალმა გამითხოვა სათამაშოთ. ავდექ, ვითამაშე. მე ჩემი ბიძაშვილი გავიყვანე. მაშინ თითო ქალი ვთამაშობდით. დიდხანს ვთამაშობდით. მერე მამამენმა ითამაშა, მე თავი დამიკრა სათამაშოთ, ვითამაშე. ეს ორნივ ფეხზედ იდგნენ, ტაშს უკრავდნენ. რამდენიც მივახლოვდებოდი, ერთი ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რა კარგათ თამაშობს, ისე რომ გამეგონა, ამისთანათ არვინ თამაშობს. ეს რომ გავიგონე, დავჯექი და აღარ ვითამაშე. ამათ განგებ სთქვეს, რომ მე კიდევ ამათ მშინჯონ. შემდეგ მთხოვეს ბევრი, მარამ აღარ ვითამაშე. ეს ღამეც ასე გავატარეთ.

მამაჩემი კიდევ ჩამოვიდა მაისში, როდესაც ამ დროს ჩვეულება არ ჰქონდა. მე დიდათ გამიკვირდა. თურმე აზრი აუღია და კაცი მისვლია მამიშენისა. უთქომთ, შენი ქალი მამაცაშვილს მიეცით იოსებსაო, კარგი ოჯახი აქვსო, უვალოო, თითონაც კარგი ყმანვილიაო. ეს აზრი მამაჩემმა ვერ უთხრა ჩემს დიდდედას. დედა აღარა მყვანდა. დედიდა ჩემსაც, რადგანაც ქალაქში ცხოვრ. არა ჰქონდა მამაცანთ, ვაითუ სოფელში წაიყვანონო, ამის გამოთ ვერ გამოუცხადა, ალიგორით ელაპარაკებოდა ყოველს სადილს და ვახშამზედ, აგრეთვე ჩაიზე. ვისაც იმ დროს სემინარიაში კურსი დაესრულებინა ყველას სახელს, გვარს ახსენებდა. თუ სემინარიაში კურსი დასრულეს, იმისათვის კარგნი არ

არიანო. მერე მამიშენის სახელს და გვარს იტყოდა, ის ყველას ემჯობინება. იმის აზრს მე მივხვდი, რადგანაც კულავ არ ულაპარაკნია იმ გვარათ.

მე ჩემს ნათესავს ქალს უთხარ, მამაჩემს ვერ ატყობ, რას აზრზე ლაპარაკობს, იმ პირების ქების მერე აბოლოებს მამაცაშვილზედ. იმან მითხრა, რა მერე. უთუოთ ჩემთვის უნდა მამაცაშვილი. იმან გაიცინა და გაკვირვებით მითხრა, არა, ტყვილია. მე უთხარ, მართალია, რას ამბობ, დედათ ხომ არ უნდებარ. მითომ ყმანვილი იყო და მე დიდი. მამაშენი ოთხის წლით იყო ჩემზედ დიდი. მაშინ კაცი ათით და თხუთმეტის წლით უნდა ყოფილიყო დიდი. მე დავნაძლევდი და უთხარ, მე ნუ გამამხელ, შენათ უთხარ დედიდას, როცა იმან ჩამოაგდოს ლაპარაკი, უთხრას, რახან აგრე აქეფ, ნინო მიეცი. ნახამ, თუ მაშინვე თანახმა არ გახდეს ამ რჩევაში. ველარ მოასწრო ამ ქალმა დედიდაჩემთან ლაპარაკი. ნავიდა მამაჩემი სოფელში, დრო იყო სოფლის მუშაობისა, ნახა, რომ ამათ ყურათლება არ მიაქციეს.

გასულს მაისში იყო კიდევ ჩვენის მეზობლის ქორწილი. ჩვენც მთელი სახლობა იქ ვიყავით მიწვეულნი, მამაშენიც და ის ჩემი პირველი ჟენიხიც იქ იყვნენ მიწვეულნი და ბევრნი სხვანიც. თურმე მამაშენს და იმას ერთათ ეჭირათ სახლი, ერთს ოთახში მამაშენი იყო, მეორეში – ისა. როდისაც სადილი ჭამეს, ჯერ დიდხანს ილაპარაკეს. იმან უთხრა, მე შევალ, დავიძინებ, როცა წასვლის დრო იყოს, გამაღვიძე. მამაშენმა არ დაიძინა. როცა დრო იყო, იმის ბიჭი ავლაბარში გაგ-

ზავნა საქმეზედ, იმ საწყალს კარები გადურაზა, თითონ წამოვიდა. არც ის იყო ურიგო თავადიშვილი, იყო კახელი გუბერნატორის პორუჩიკი. იმ საწყალს ასე დაცინებოდა, რომ მეორეს დილამდინ სძინებოდა. მეორეს დღეს ესაყვედურებინა, რატომ არ გამაღვიძეო. რა საკურველია, თავს იმართლებდა, ბიჭი შემოვგზავნე შენი გასაღვიძებლათ. ეს ანბავი თითონ მიამბო. შემდგომ იმას ბევრნი აძლევდნენ ქალს. მე უთხარ მამამენს, რა გენაღვლებოდა, ისიც მოსულიყო იმ ქორწილში. რათ მინდოდა, რომ იმასაც შენთვის ეყურებინა. იცოდა მამაშენმა, რომ მზითვიანი ქალები ეძლეოდნენ, მაგრამ ანბობდა, კონსტანტინეს ქალი უნდა შევიერთოვო. ის ზაფხული ასე გავატარეთ.

ავგისტოში გაჩნდა ხალერა, რომელმაც მრავალი ხალხი განყვიტა. მეც ის კარგი ბიძები, დიდიდედა დამეხოცნენ ერთს კვირაში. ჩვენ სოფელში წაველით საგურამოს. უფროსი ბიძა ქალაქში დარჩა სამსახურის გამო. სხვანიც მეზობლები და ის ნატყვევბნიც თან გამოგვყნენ. მეორეს ღამეს ერთი სტუმარი, რომელიც გამოგვყა, ის გაგვიხდა იმ სნეულებით ავად. რაკი გაიგეს სოფელმა, სულ ტყეში გაიპარნენ. ის ავანტყოფი მაშივე ქალაქს გავისტუმრეთ. ბიჭი და ურემი აღარ მოვიკარეთ. ისინიც ტყეში იყვნენ, მოსამსახურებიც გაგვეპარნენ, დავრჩით უმოსამსახუროთ, შამოგვაკლდა გამამცხვარი პური, ორი დღე ფლავით გამოვედით. მერე ჩავედი ძირის სახლში, მოვზილე ცომი. მინდოდა, ჩემით პური გამომეცხო. მეზობლის თორნე პატარა იყო, ნა-

ხევარი მინაში იდგა, ნახევარი ზეზე. როდესაც თორნე ავანთე, მაშინ დამინახა დიდიდედამ, რომ პურის გამოცხოვას ვაპირებ, ორის ხელით თავში შემოიკრა, ამ დღესაც მოვესწარ, ნინოს გამომცხვარი პური უნდა ვჭამოვო. მე სულ ხუმრობათ გავაკეთე და სიცილში სუყველანი მამეშველნენ, ისე გამოვაცხე პური.

როდესაც ნახა დიდიდედამ, რომ აღარავინ გახდა ავანთ, დღესასწაული იყო ფერისცვალებისა, მაშინ გვითხრა, წავიდეთ, შვილო. სუყველანი ავდექით და წავედით ტყეში, სადაც წმინდის ნიკოლოზის ეკლესია იყო. ვილოცეთ, ღვდელი არა გვყვანდა. ბებიაჩემი დაწინაურდა, ჩვენზედ ადრე მივიდა იმ საყდართან, დაიჩოქა, მუხლით გარს შემოუარა სამჯერ. ათ თითზედ სანთლები ენთო, ისე შევიდა, დაჩოქილი მივიდა ტრაპეზთან, წინ დაჩოქილი შესტირა, წმინდავ ნიკოლოზ, თუ ჩემის შვილების და შვილიშვილების უბედურება იყოს, ჯერ ჩემი სული მიიბარე, მერე ნება შენი ასრულდეს. ის ეკლესია დიდის ხნის აშენებული იყო, ლეკებისაგან დაფხაჭნული, მარამ ხშირათ ხალხი სასწაულს ხედამდა. ახლო იყო ჩვენი სახლი, წამოვედით იქიდან.

გავიდა სამი დღე, გახდა ავანთ ჩემი დიდიდედა ხოლერით. პირველს დღეს ყველა ღონის ძიება იხმარეს, წამლები მოტანილი გვექონდა და ქალაქშიაც კაცი გაგზავნეს უფროს შვილთან ექიმისთვის. ისიც ავანთ ყოფილიყო ხოლერისაგან, მორჩენილიყო, მაგრამ ქვეშაგებში იწვა. ოთხი დღე ავანთ იყო ბებიაჩემი, მეხუთეს



საგურამო

1900-იანი წლები

ფოტოგრაფი: დიმიტრი ერმაკოვი

დღეს შენუხდა. თურმე ყველამ შეატყო, რომ კვდება. მე სულ პირში უჯეეი, სხვანი გავიდნენ გარეთ. დაიხედა ხელებზედ, მითხრა, სიკვდილის ფერი დამედო. კიდევ წამლები გამაკეთებინა. საკურველი ეს იყო, რომ არ მეშინოდა. დავალევინე წამალი, წამალს იმისათვის სვამდა, ვიცოცხლო, მივიდე, ვნახო ჩემი შვილი. ნახე-ვარ საათს უკან მითხრა, მუხლები დამეხოცა, სული მუცელში მოგროვდა, შემდგომ რამდენისა მიწუტსა მარჯვენა თვალი მამიკვდა, სული ყელთან მოგროვდა, ადექ, შვილო, პირში ნულარ მიზიხარ, ჩქარა, ბარბარეს დაუძახე და იმის რძალს. ჩიხოვსკის დედას და იმის რძალს მეუბნებოდა, მარამ მე არ შემეშინდა იმ



მამაკვდავის, ისე მშვიდობიანი სიკვდილი ჰქონდა. გავედი გარეთ და ორნივ ისინი შემოვიდნენ, იმათ ჩაგვაბარა. არ იტირონ ბევრიო, ბარბარეს გაუფრთხილდით, თავის გასათხოვარის ქალისას ამბობდა, იმან ძალიან მწუხარება იცისო, ნახევარ საათს უკან გარდიცვალა.

ქალაქიდანაც იმ დროს კაცი მოვიდა, გვითხრა, პეტრ ოსიფიჩიც ავათ არისო. ჩვენ მაშინვე მოვემზადეთ წასასვლელათ და რომელიც დრაგუნის პოლკის კაპიტანი შვილი ჰყვანდა, იმან საბძელში საფლავი გაათხრევინა და იქ მიწას მიაბარეს უმღვდლოთ, ამისათვის რომ ქალაქიდან კუბო უნდა გამოეგზავნა და ქალაქში ჩაეტანებინა, ქაშვეთში დაესაფლავებინა, საცა მამა ჰყვანდა დასაფლავებული. იმავ ღამესვე ჩავედით ქალაქში. როგორც შემოგვხედა პეტრემ, ბიძა ჩემმა, დედა სად არიო. ზევით სოფელში წავიდაო, უთხრეს, ვენახს აკრეფინებსო, მაგრამ, ეტყობოდა, არ იჯერებდა, აზრი აიღო.

ოთხსაბათს დედა გარდიცვალა, პარასკევს – უმცროსი ძმა, კვირას – უფროსი. აი, მეზობელმა ბარბარემ რა სიკეთე უყო – უმცროსი რომ გარდიცვალა, შინ ფული არა ჰქონდა, შტაბიდან უნდა მიეღო ერთის ტრეტისა, მარამ მამტანი ვინ იყო. პირველი, რომ თითონაც ავათ იყო და აღარავინ შტაბში. იმ ქალმა ამოუტანა სამოცი თუმანი პარკით, უთხრა, ოღონდ ნუ ინუხებ და შენ კარგათ იყავ, აი, როგორც გინდა, დახარჯე. მაშინ მუშაც ძვირი იყო. მოეხვია საწყალი ბიძაჩემი და უთხრა, დავო ბარბარე, თუ ვიცოცხლე, მე

ვიცი და ჩემა კაცობამ, როგორ ამ სიკეთეს გადაგიხდი და თუ არა, მაინც არ დაგეკარგება. აი, უნინ როგორი მეზობლობა და მეგობრობა ჰქონდათ, მე ამას მოვესწარი და ეხლა ამას ვხედავ, ძმა რომ სარჩობელაზე მიჰყვანდესთ, მეორე ძმა არა შველის. იმ ქალს ოთხი ქალი ჰყვანდა, სამიც ვაჟი. თითონ ქვრივი იყო, ორს ვაჟს გარდა სულ დასაზღელები, მარამ ამისთანას მწუხარებაში ანუგეშა.

მე სამივეს პირში უჯექი უკანასკნელს მინუტამდინ და ჩოტკით ვაზელინებდი დენშიკებს. სინათლე რომ შემოდგა ფანჯრებში, ვნახე გონება აღარა ჰქონდა ამ უმცროსს. მაშინვე ჩავივრბინე ეზოში შეშინებული. ძლიერი სულთ ბრძოლა ჰქონდა, იმიტომ ისე შემეშინდა. მდგმურები იყვნენ მოხუცი ჩემი ოსტატები. მიშველეთ, წამიყვანეთ სადმე, ამათ მითხრეს, სად უნდა წაგიყვანოთ, მთელი ქალაქი მკვდრებით სავსეა. ამ დროს ორი პოვისკა სამსე მოჰქონდათ ერთმანეთზედ დაწყობილი, ფანჯრებთან გამოატარეს. მითხრეს, აი, ესენი სულ სოლოლაკზედ მიაქვთ და იქ ისე ჰყრიან. იმდენი მიაღერსეს და დამიყვავეს, დამაწვინეს ქვეშაგებში, ზურგზედ ხელი მისვეს, რომ დამაძინეს. ღმერთმა აცხონოთ, თუ ისინი არ შემხვედროდნენ, უეჭველად გავგიჟდებოდი. საღამომდინ მეძინა, რომ გავიღვიძე, ვნახე, დასამარხავათ მიჰქონდათ. ერთმანეთის თავაზით და შიშით ველარა ვტიროდით. ეს იყო პარასკევი დღე.

მარიამობა კვირასაც უფროსი ბიძა, იმასაც პირში უჯექი, თუმცა ის ნახადი იყო. დედისა და ძმის სიკვ-

დიღმა ძალიან შეანუხა, მეორეთ შეაქცია, იმასაც პირ-ში უჯექე, მაგრამ არ შემეშინდა, რადგან ის კეთილი მეზობლები ჩემთან ისხდნენ და აღარც იქ დააყენეს, თავიანთ სახლში ჩამოიყვანეს დედიდაჩემი. არც ერთს ავანტყოფს არ მიჰკარებია, იჯდა მეორეს სახლში და ღრიალებდა. იმ საღამოზედ დამარხეს ის უფროსი ძმაც.

დავრჩით ქალაქში ოთხნი – დედიდაჩემი, ძმა ჩემი, და და მე, კიდევ ბიძა. ესენი ჩემზედ პატარები იყვნენ. ახლა იმათი დენშიკები – ექვსი კაცნი ჩვენთან იყვნენ. ასე გამშრალები ვიყავით, მითომ არავინ მოგკვდომია, შიშისგან – ჩვენში არავინ გახდეს ავათო. გაიარა ამ უბედურმა დღეებმა, აღარა ხმა აღარა იყო რა ქალაქში ავანტყოფებისა. ცოტ-ცოტათი ქალაქში ხალხი შემოვიდა. ერთს თვეს უკან ისევ აივსო ქალაქი. ბიძაჩემი ივანე ერდუბათის კამენდანტათ იყო. წავიდა დედიდაჩემი მთავარმართებელთან, სთხოვა იმ ძმის გადმოყვანა, რომ უპატრონოთ იყო. პასკევიჩი იყო მაშინ. ერთვეზე მოვიდა ბიძაჩემიც იქიდამ, მამაჩემიც მოვიდა სოფლიდამ. შევიყარენით ერთათ, რაც ჩვეულება იყო გლოვნისა, ვიგლოეთ.

მამაშენსაც ბიძა მოჰკდომოდა იმ ჭირით. იმის ბიძასაც წირვას უპირებენ თურმე და შავებიც აცვია. ბევრნი ჰყვანდათ მოწვეულნი გორიდამ და გორის უეზდიდამ. ბლალორინი იყო. შვიდი საბლალორინო ეჭირა. ვიღამაც უთხრა მამაშენს, კონსტანტინე წავიდა ქალაქში, ქალს ათხოვსო. ივანეს უპირებდით ცოლის



*ილია მამაცაშვილი - იოსების ძმა  
1850-იანი წლები*

შერთვას. ამ სიტყვაზედ მამაშენმა არ მოიცალა ორი დღე, რომ წირვა გადაეხადნათ. მაშინვე გორს ჩამოვიდა, შავები გამაიცვალა, ქალაქში ჩამოვიდა. ის იდგა კვირაცხოვლის ქუჩაში თურქისტანიანთ, ახლო ჩემს მამის დედიდასთან. მეორეს დღეს მივიდა მამაშენი, რომ შეიტყოს, ეს ანბავი მართალია თუ არა. იმათ უთხრეს, არაო; მართალია, ბევრნი სთხოვენ, არ ვიცით, ვიზე გათავდებაო. მერე სთხოვა თურქისტანოვის დე-

დას და იმის შვილს – სოლომანს, კონსტანტინესთან მოილაპარაკეთ, მე მამცესო. ამათაც აღუთქეს.

მამაჩემი ყოველს დღეს დადიოდა თავის დედიდასთან. ამათ მოელაპარაკნათ. მამაჩემი მოვიდა შინ და ვერ გაბედა, დედიდაჩემს რომ უთხრას. ჩვენ მაშინ ერთს დიდს ოთახში ერთათ ვინექით, სხვა ოთახებში არ შევდიოდით, რადგანაც ჩემი ბიძების და დიდიდედას ოთახი იყო. ამისთვის მთელი ზამთარი ვიდექით იმ ერთში. დედიდაჩემი და მე პოლზედ ვინექით. ასე იყო ჩვეულობა, წლამდის მგლოვიარე ტახტზედ არ დანვებოდა, არც დაჯდებოდა, ძირს უნდა მჯდარიყო. მამაჩემს არა სძინავს, ჯავრისაგან და ფიქრისაგან ძილი დაკარგულ ჰქონდა. შემდგომ ჩიბუხი გაიკეთა. დეიდასაც არ ეძინა. ერთმანეთს ხმა მისცეს. არა გძინამს, ბარბარე? დიდი ხანია მღვიძამს. მეც გამეღვიძა, თავი მოვიმძინარე. გავიგონო, რას ილაპარაკებენ მეთქი. მამაჩემმა დაიწყო ჩვეულებისამებრ ქება სხვებზედ, ბოლოს მამაშენზედ, ნეტავი, ცოლს შეირთამდეს, ძალიან კარგი ყმანვილი კაციაო. მაშინვე დედიდამ გაჯავრებულის ხმით უთხრა – მერე ვინა გყავს სამისო? ჩემზედ უთხრა, მაგას მივცემო. შემდგომ დედიდამ დიდი უარი უთხრა, ამას მე ქალაქიდამ ვერ მოვიშორებო, აი, ქალაქში მცხოვრები გთხოვენ, მამულიანი კაცნი, სახლ-კარიანი და სამსახურში მყოფნი, მე ეს დედის და დის მაგივრათ მინდა მყვანდეს. ერთი სიტყვით, დიდი უარი უთხრა, მე კი ჩემს გულში მაშინვე ეს ვთხოვე ღმერთს, რადგანაც ის პირველი არ მოხდა, ღმერთო,

ეს იყოს ჩემი ბედი. შემდგომ მაინც ცდილობდა, რომ თანახმა გაეხადნა.

ეს უარი გაიგეს თურქისტანიანთ, იმათაც სამი ქალი ჰყვანდათ გასათხოვარი, უმცროსზედ დაუნყეს ლაპარაკი. შეატყო მამაშენმა, რომ ესენი სხვა რიგათ ლაპარაკობენ, მაშინ მამაშენმა იფიქრა, მე თითონ მოველაპარაკები, რა საჭიროა მოციქული, როდესაც ჩვენ კარგათ ვიცნობთ ერთმანეთს. მოსვლის დროს მამაჩემს გზაზედ დაუხვდა და უთხრა, ჩვენში სხვის ლაპარაკი რა საჭიროა, მე დიდხანია შენი ქალი მსურს და თუ ნება გაქვს, გავათაოთ. მაშინ მამაჩემი თანახმა შეიქნა, მარამ რამდენიმე დრო სთხოვა. შინაც მოვილაპარაკოვო იმის დედიდასთანო, იმას დედის ოდენა ამაგი აქვსო. ეს მოლაპარაკება თურმე ჩემთან უნდოდა. მე შემამიყენა ჩემი ძმა და ჩემი ბიძაშვილი ქალი, მეც ალერსით და ალიგორიით მელაპარაკებოდა. მე ჩემს ძმას და იმ ქალს ასე უთხარი, რა ტუტუცები ხართ, მამაჩემმა უფრო კარგათ იცის, ჩემი შესაფერია თუ არა, ესეც ვიცი, ძალიან უყვარვარ, უცნობს და ურიგს არ მიმცემს, ეგ იმის საქმეა და არა ჩემი. მე როგორ დავიჯერებ, რომ მამაჩემმა უცნობს კაცს მიმცეს. ამისთვის ელოდა პასუხს, რომ დედიდას არ მივდგომოდი, რადგან ის ბევრს მპირდებოდა მოცემას. ეს პასუხი რომ მიუტანეს, მამაჩემს ძალიან იამა, ალერსიანათ მიპასუხა, შენც ჭკვიანი ხარ, შვილო და ისიც, იმედი მაქვს, კარგათ იცხოვრებთ.

წავიდა მამაჩემი და სრული ნება მისცა. ახლა უნდა ნიშანი მამიტანოს, დედიდაჩემს კიდევ უთხრა, დღეს

სალამოზედ უნდა ნიშანი მოიტანოსო, მოვლენ, ისევ ჩვენი ნათესავნი მოჰყვებიან და ახლა შენ იცი, რაც საჭირო არის მომზადებისა, მითხარი და მოვემზადდით. ამაზედ დიდათ გაჯავდა, უთხრა, ეს სახლი და შენი ქალი, მე კი აქ არ დავდგები, სხვაგან წავალ. სანყალი მამაჩემი ძალიან შენუხდა, რა ქნას, ბიძაჩემი ივანე წაიყვანა თურქისტანიანთსა თავის დედიდასთან და ჩემი ნიშანი იქ მიიტანა მამაშენმა. მე შინ მარტო ვიყავ ჩემი ბიძაშვილით, ხან ვტიროდი, ხან ვიცინოდი, ვაი რა ძნელია უდედობა მეთქი. დარჩა ეს ნიშანი იქა. ბიძაჩემაც ცოლი შეირთო, სანათლილებოთ ქორწილი გვაქვს. იმას ვინ ახსენებს, რომ მოიწვიონ. გავიდა რამდენიმე თვე, მერე გავგზავნე ჩემი ძმა, მოვატაინე ის ნიშანი, მარამ დედიდას შიშით ვერა ვხმარობდი. შემდგომ ბევრნი ჩვენი კეთილის მყოფნი შეუჩრდნენ და დაიყოლიეს, რომ სააღდგომოთ მოსაკითხი მამსვლოდა. მამიტანა ჩემა მაზლმა კონსტანტინემ ბზობის დღეს ორი საკაბე თავის განყოფილებით. ჩაიზედ დარჩა ჩვენთან, მერე გამამეთხოვა. შემდგომ კვირაცხოვლობის მეორეს დღეს წავიდა კორპუზაში პეტრებურგში სასწავლებლათ. მაშინ ის იყო თორმეტის წლისა.

ახლა მინდა, რომ კაბა შევიკერო სააღდგომოთ, დედიდა არას მეუბნება, მეც შიშით ვერ ვახელ ხელი. რომ გამიჭირდა, სულისწმინდის სადღესასწაულოთ ერთი კაბა გამოვჭერ და შევიკერე. წირვაზედ წავედით იმ კაბით. დედიდა გვერძე მიყურებდა, სხვას არას მეუბნებოდა. მამაჩემის წიგნი მოგვივიდა, მოემზადეთ უნ-

და წამოგიყვანოთ ამ ზაფხულს, მარტო ქალაქში არ დაგაგდებთ. ბიძაჩემი ისევ თავის სამსახურში წავიდა ერდუაბადს. ჩვენ მარტო ქალები დავრჩით ქალაქში. ეშინოდა, ვაი თუ კიდევ რამ სნეულობა გაჩნდეს. დედიდაც თანახმა გახდა, ისიც შეუდგა მზადებას. წავიდა თავის ნათლიდედასთან, ქარასიძე ნიკოლას დედასთან, რომ ბაზარში წაეყვანა, მაშინ ქალები მარტო არ დადიოდნენ ბაზარში. თურმე მამაშენიც იმათი მეზობელი იყო. ნიკოლა ბრილიანშიკი იყო ნათლული, მაშინვე დედას უთხრა, რომ სადილათ არ გაუშო, იოსებსაც უცებ მივიყვან და გავაცნობ. ესენი მომზადებულიყვნენ, ჩვენ სალამომდის ასე დრო გაეტარებინათ ჩაიზედაც. იქ დარჩა დედიდა. ერთის სიტყვით, ათი საათი გახდა სალამოსი, რომ მოვიდნენ. კარებამდინ მოჰყვა იოსებიც, დედიდამ ბოდიში მოითხოვა, ეხლა ნინოს ვერ გარჩენებ, ხვალ სალამოს ჩაიზედ მობძანდით და გადავიხდი ამის თარჯიმანსო.

მეორე დღეს მოემზადა, ვახშამი გააკეთებინა. ამ დროს მამაჩემიც მოვიდა ჩვენ წასაყვანათ, შეატყო, რომ რალაც მზადება არის. იმ დროს მამაშენიც მოვიდა, ნახეს ერთმანეთი. მამაჩემს არ ესიამოვნა, რაკი დახლოება ნახა, ძალიან ეჭვიანი კაცი იყო, ყმანვილი კაცის ხშირი სიარული, მეტადრე დანიშნულისა, რომ თავისუფლათ არ მოიქცეს. ახლა უნდა ვახშამზედ გაყვანა, მე ვერა ვბედამდი სირცხვილით და მამიჩემის შიშით. როგორც იყო, გამიყვანეს, მამეგება ხელი ჩამამართო და ხელზედ კოცნა ვერ გაბედა. ვახშამთ უკან



შევიდა დასაძინებლათ, მეც დამიძახა, შენც ეხლავ დაიძინე, აღარ გახვიდეო. მეც შევედი მეორეს ოთახში, ჩავჯექი წალოში და დავიძინე. რომ აღარ გავედი, მეძებეს, რომ ვერა მნახეს, ვერც მამაჩემთან იკითხეს. ერთი ბრილიანტის ბეჭედი მამიტანა მაშინ. ვანას, ეტყობა, არ იყო. რომ ველარა მნახა, ნავიდა შინ. იმ ღამეს სულ ლექსები ეწერა, არ დაეძინა.

მეორეს დღეს წასასვლელათ მოვემზადეთ. იმ ღამეს დედიდას კაცი გაეგზავნა და დაებარებინა ჩივიანანთსა, იქ მოდიო, ვახშამთ უკანათ ნინოს იქ ჩამოვიყვანო, როცა შენი სიმამრი დაიძინებსო, ის ვერ მიხვდება. მოვიდა იქა და დედიდაც იქ არის. შემამითვალა, აქ ჩამოდი, ეს ბარგი ამათ მივაბაროთ, რაც არ გვინდა წასაღებათ. მეც ჩამიტყუეს. კიბეზე რომ ჩავედი, იმათმა ქალმა მითხრა, რომ იოსები აქ არის და იმისთვის გიბარებს. ის ქალი ჩემი ტოლი იყო და ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. ახლა რა ვქნა, ველარ შევდივარ, მამიჩემისა მეშინიან, არ დამიძახოს და რომ არ ვიქნები შინ, მიხვდება და გამიჯავდება. როგორც იყო, შემიყვანა იმ ქალმა, დაუძახა, აქ არი და არ შემოდის. დედიდამ ძალათ შემოიყვანა. ისიც მოიშველია, მეტი რალა ღონე მქონდა, გათენებამდის ერთათ ვიყავით. ნავიდა. მოვედით. დავიძინეთ. მალე გათენდა. წამოვედით ხიდისთავს, იმანაც გამოგვაცვილა.

იმ საღამოს მინდორში დავიღამეთ. მე და ჩემი და ურმიდამ არ გადმოვედით, იქვე ვჭამეთ ვახშამი. მამა ჩემს არ დაუძინია, გვიკარაულებდა. აგრეთვე დედიდა

არ ამოსულა ურემში, ისიც ფხიზლობდა, ლაპარაკში ერთობოდნენ. გათენდა დილა, ჩაი დავლიეთ, პატარას ხანს კიდე ვიარეთ. პატარას ხანს უკან მამამ უთხრა, რას იგძელებ გზასა, ახლა გაბრუნდი. იმ წინა ღამეს რაც ლექსი დაენერა ურემში, ჩუმათ მოეტანა ჩემთვის. მე ვერ გავიგე და ავიღე, დედიდას მივეცი, ეს ვისია. იმან მაშინვე გამომართო. ჩემიანო, ველარ უთხრა, რომ ჩემთვის მოეცა. რომ მიდიოდა, მოვიდა ურემთან, გამამეთხოვა, მძინარე ვიყავ, მეც ველარა გავიგერა და ვაკოცე. მაშინ არც აკოცებდნენ ერთმანეთს, არც ქალი ხმას გასცემდა ჯვარის წერამდინ. წამოვიდა. ჩვენ პატარა ხანს ვიარეთ. მერე სადილი მოინდომა მამაჩემი. იმდღეს პეტრე-პავლობა იყო და გაგვიხსნილდა. სადილზედ რომ დავსხედით, დედიდამ საყვედური უთხრა, თუკი ასე ადრე სადილს სჭამდიო, ის რაღათ დააბრუნეო. იმის გზა უფრო გაუგძელდებოდაო, სამსახურის კაცია, თავის სამსახურს მიეშუროსო.

მივედით ხიდისთავს. საფერისცვალოთ კიდე მოვიდა. რადგანაც რუისში დღესასწაული დიდი იცოდა, ერთი დღე და ღამე ჩვენთან იყო ჩვენი ნათესავი გედევან ანანიევი თავის დედით, დებით და სიძეებით, ესე იგი იასე თუმანოვი და აბაშიძე ლევანი. ის დრო კარგა გაატარეს. წავიდა ისევე ქალაქში. რუისში ველარ ავიდა, რადგანაც წლისთავი იყო თავის ბიძის სიკვდილისა და ისე ვერ ისიამოვნებდა. შემდგომ მე და დედიდა დაგვცადა ხიდისთავის ჰაერმა, სამი კვირა გვაციებდა. მოვრჩით ციებას. ერთი ექიმი იყო ქართველი გორს,



*ელენე მამაცაშვილი-მუსხელიშვილი  
ტფილისი, 1870-იანი წლები  
ფოტოგრაფები: დები ორლაი დე კარვეები*

იმან მოგვარჩინა, ქართული ჯვიაბი გვასო და რამდენიმე ქინაქინა. მოვრჩით ამ წამლით. სთველიც გაათავეს.

ახლა მამაჩემა მოინდომა ჩემი ჯვარის წერა ხიდისთავს. რუისშიაც მომზადება აქვსთ, ნათესაობა შეყრილან. ახალი გათხოვილი ჰყვანდა და. მუსხელოვსა ჰყვანდა, მაიორი იყო, ივანე. ამოვიდა მამაშენი გიორგობისთვის ცხრას. თხუთმეტში მარხვა იწყებოდა. ჩვენთან მოვიდა პირდაპირ, რომ მამაჩემს უთხრას, ხვალ

ანუ ზეგ მოვალთ და უნდა ჯვარი დავიწერო. დილა იყო, ექიმი ჯერ ჩვენებას არ გვაძლევდა. ჩაის დალევით-სას ყავა გვედგა ბუხარში და ვემზადებოდით დალევას. ამ დროს ბიჭი შემოვარდა, ბატონის სიძე მობძანდაო. მე არც ტანთ მეცო, არც თავი მეხურა. მაშინვე მარანში შევედი, იქ დავიმალე. ის რომ ოთახში შევიდა, მე მარნის მეორე კარი გავაღე და ლობიდამ გადავედი ჩემ ბიძაშვილთან. სალამომდინ იქ ვიყავ. მამაშენი ბინდამდინ მელოდა. მე არავინ მამიკითხა, მე როგორ გავბედავდი, რომ წავსულიყავ. მამიჩემისა მეშინოდა. ეს ბიძაჩემი თავის ცოლით სადილათ არიან მამაჩემთან, მე მარტო იქა ვარ. იმათ სალამოს ჩაიც გაათავეს, ვახშამს ემზადებიან. კოშორიძე იყო მღვდელი, მამიჩემის მოძღვარი, ძალიან მხიარული კაცი. ვახშმობის დროს ეთქვა მამაჩემს თავის ძალოასთვის, წადი ნინო გადმაცივანეო. მოვიდა და წამიყვანა. მამაჩემს ეფიქრა, ვახშამს უკან ჯვარს დავწერ ამისათვის, რომ ხუთის დღის მეტი ხსნილი არ არის. ეს მანამ წავა და მოემზადება. მე მსურს, ჩემი პირველი შვილის ქორწილი ჩემს სახლში გადავიხადო. ამის მამამ თავის პირველი შვილის ქორწილი გადიხადა, მეც ჩემს სახლში გადავიხდი.

გავიდა შუალამე. მოსამსახურებმა ვახშამი ჭამეს და დაიძინეს. ამათ კარგათ გადაჰკრეს, ამ მღვდელმა. შემდგომ მამაჩემა უთხრა მღვდელს, ჩუმათ წადი, ეკლესია მამზადე, ნინოს ჯვარი დავსწეროთ, ეხლავ არავის გაგებინო. თურმე მამაჩემს ეშინოდა მტრისა, არავინ რა მიმტროსო. ამისათვის უნდოდა, საიდუმ-

ლოთ ყოფილიყო. პატარა ხანს უკან აიშალნენ სუფრი-  
დამ. მე ჩამაცვეს საგვირგვინო ტანისამოსი. ნავედით  
საყდარში, რომელიც იქვე ახლო იყო. მთელს სოფელს  
ეძინა. მამაჩემი გარედამ კარებში იდგა. მეჯვარე არა  
გვყავს, გააღვიძეს მოჯამაგირე ჩვენი, მოიყვანეს, დამ-  
წერეს ჯვარი. ამ მღვდელს ერთი და ჰყვანდა, ორის  
თვალით უსინათლო მოხუცი, ის შამოვიდა. ერთი ქარ-  
თული გვირგვინი ჰქონდათ დაჟანგებული, ის დაგვა-  
დეს, თვალეში ჩამამეჩაჩა, მე თითონ მეჭირა. მაყრე-  
ბი არა გვყანდა. მამაშენსაც თეთრი ჩერქესკა ეცო.  
როდისაც შემოგვატარეს ღვდელმა, იმ უსინათლომ  
გვითხრა მხიარულათ, თქვენ კი გენაცვალეთ, რა მშვე-  
ნიერათ გიხდებათ. მე საშინლათ სიცილი ამიტყდა, ეს  
ბრმაც ჩვენ გვატყუებს. მამაჩემი დაბრუნდა შინ, თურ-  
მე თოფები დატენა, მოსამსახურები დააღვიძა, იმათ-  
ვის მიუცია, მეფე-დედოფალს მიეგებეთ და თოფები  
დაცალეთო. მამაჩემი ოთახის კარებში მოგვეგება, ხა-  
ტით დაგვლოცა. ახლა ეს ბიჭები გაგზავნა და ზარე-  
ბი არეკინა ორივე ეკლესიებისა. ხალხს დაუღვიძნია,  
ზოგი ცისკარზე მიდის, ზოგს უკვირს, რა ამბავია ამ  
დროს ეს რეკა. მე ჯერ ხმა არ გამეცა ჩემის ქმარი-  
სათვის. ყველანი თავთავის სანოლში წავიდნენ. ჩვენ  
დავრჩით ერთათ. ამოიღო თხუთმეტი ოქრო და მამცა  
ხმის გასაცემათ. უნინ ეს ჩვეულობა იყო, ახლა მხო-  
ლოთ იმისთვის აძლევენ საჩუქარს, ოღონდ დაჩუმიდო.  
ასე კრძალვით ვიქცეოდით. ოდეს ტურფა გაიაფდეს,  
ალარ ღირდეს არცა ჩირად. ამისათვის ქალი ხშირათ

თხოვდებოდა, ეხლა სამი-ოთხი წელიწადი გადის, რომ ძლივს გავიგონებთ, ესა და ეს ქალი გათხოვდაო, თუნდა დიდი მზითით იყოს.

მეორე დღეს კაცი გაგზავნა მამაშენმა. ეს კაცი იყო სიყრმით მამიშენის ლალა, შეუთვალა ჯვარის დანერა და სთხოვა მამაჩემა, თქვენის სტუმრებით მეწვიეთ, მინდა, ჩემს ოჯახში გადავიხადო ქორწილი. მესამეს დღეს მთელი სოფელი, ქალი და კაცი მოიწვია, კარგი ქორწილი გადიხადა. ისინიც მოვიდნენ ერთობით მეოთხეს დღეს ჩემს დედამთილებს გარდა. ორი დღე და ღამე დაჰყვეს, შემდეგ სამის კვირისა ჩამოვედით ქალაქში. კვირაცხოვლის ქუჩაში ეჭირა ორი ოთახი. იქ დავრჩით ერთი თვე, მანამ ბიძების სახლები დაიცვლებოდა. გადავედით იქა, ერთი წელიწადი სიამოვნით ვიცხოვრეთ. მამაჩემიც ჩამოვიდა ჩვენთან, მარამ მე ასე მცხვენოდა, როცა მამაჩემი იჯდა ჩვენთან პურის ჭამაზედ, მე თავს მალლა ვერ ვიღებდი, რომ კაცი მიზის უცხო. მამაჩემს უხაროდა ჩემი ასეთი კრძალვა.

გაზაფხულდა. წავიდა მამაჩემი სოფელში, ჩვენ ქალაქში ვართ, რადგანაც სამსახურში იყო. ვატარებდით სიამოვნით დროს. იმის ჯამაგირი იყო თვეში ორი თუმანი. დედიდაჩემს მამის პენცია ჰქონდა. ჩემი უმცროსი ბიძა გაბრიელ სოფელში ცხოვრობდა, ის გვიგზავნიდა პურს, შეშას საგურამოდამ. ჩემი ძმაც სამსახურში შევიდა თავის სიძესთან, მარამ ჯამაგირი არა ჰქონდა. მამა ღვინოს გვიგზავნიდა ხიდისთავიდან. ასე ვცხოვრობდით ერთათ.

მეორეს დეკემბერში, ნიკოლოზობას მომეცა პირველი შვილი. დედიდაჩემს საშინლათ ესიამოვნა, რადგანაც იმ დღეს დაიბადა და სთხოვა მამაშენს, რომ ნიკოლოზი დაარქვან, იმის ძმის სახელი. იმანაც აღუსრულა. მესამე დღეს მამაჩემიც ჩამოვიდა. არიან ჩვენიც მაკაროვის დედა თავის ქალებით, თურქისტანოვის დედა თავის ქალებით ერთი კვირა. იმ ერთს კვირას საზანდარი არის ქართველი, მღერის დაბალის ხმით ქართველის ლექსებს. კვირაძალზე შეიყარნენ. მეტი ხალხნი ქართლიდამ იყვნენ მოსულნი. იმ დროს მარშლების არჩევა იყო. ზოგი ცოლებით ჩამოსულიყვნენ. ერისთავიანი და ციციანი მოვიდნენ იმ ღამეს ღამის სათევლათ. ასე იყო ჩვეულება. გაიმართა ლოტო. მაშინ დიდ მოდაში იყო ლოტო. ბებია იშოვნა იმ ექვს დღეს თავგადასაგდები ხუთი თუმანი. თავგადასაგდები ჰქვიან, ვინც მშობიარეს ნახამს და მიულოცამს მშვიდობით მორჩენას, ბალიშ ქვეშ შეუდებენ ფულს, ყველა თავის შეძლებისდაგვარათ. ის ფული სულ ბებია იუნდა მიიღოს.

გათენდა დილა. ზოგი უჩაიო წავიდა, ზოგნი დარჩნენ. ამ დროს მოვიდა სოლომონ თურქისტანიშვილი და თქო, ნუხელის ათი კაცი დაიჭირეს. კაზარმაში ჩაუსხამთ, ფანჯრები გაუღესიათ. ისე შენს მტერს, რაც მნუხარება შეუდგათ. ყველანი წავიდნენ საჩქაროზედ. მამაშენმა საშინელი მნუხარება მიიღო, მამაჩემი ჰკითხამდა, შენ რა განუხებს აგრე. ჩემი მეგობრები არიან და ის მანუხებს, ის ხმა გამოვიდა, ბუნტი ზდო-



ალექსანდრე ორბელიანი  
1850-იანი წლები

მეზიათო. მამაჩემს მაშინვე ეჭვი შეუვიდა, ეს ანბავი ამანაც იცის და ვერ გამოუთქვამს.

ქალაქში შეიქნა საშინელი სიჩუმე, ორი კაცი ერთათ ვერ დადგებოდა სალაპარაკოთ, მაშინვე პოლიცია ჰკითხამდა, რას ლაპარაკობთ. ათს დღეზედ ზოგი სოფლიდამ მოიყვანეს, ზოგი – აქვე ვინც შეხვდათ. გავიდა ათი დღე. სამს კაცს ეძებდნენ – ერთი მამაშენი იყო, მეორე – გიორგი ერისთავი, მესამე – ალექსანდრე ორ-





გიორგი ერისთავი  
1850-იანი წლები

ბელიანი. მოასწრეს ამ ორს. ჩვენ წინ მეიდანზედ ჩაი-  
სო კვარტალნიმ დროშკაში. გაქანა ორჯელ კვარტალნი,  
მოვიდა, მამაშენს კითხულობდა. ის შინ არ იყო. დადიო-  
და, იქნება, გავიგო რამეო. ცხრა საათზედ შემოვიდა  
ლამისა. მე უთხარ ჯერ, სამჯერ მოსულა კვარტალნი,  
კითხულობს. ტანთ იხდიდა, მაშინვე ჩაიცო და წავიდა.  
მამაჩემა უთხრა, შენ რათ მიდიხარ, თითონ მოგიკით-  
ხამენ, თუ საქმე აქეთ. მაინც წავალ, გავიგებ. პოლიცია



მანანა ერისთავი-ორბელიანი  
1860-იანი წლები

ჩვენ პირდაპირ იყო თურმე. იფიქრა, აქ რომ მოვიდნენ დასაჭერათ, ამათ ძალიან შეეშინდებათ, ისევე სჯობს, მე წავალ. წავიდა, მაშინვე წაეყვანათ კაზარმაში.

ათი საათი გავიდა, თორმეტის ნახევარზედ მოვიდა პრისტავი – ჩვენი ნათესავი, პოლიცმეისტერს გამოეგზავნა, ნუ შეშინდებით, სამი კაცი წავიყვანეთ დღეს, იმათ შესამონმებლათ, მალე გამოუშვებთ. რაკი აჩვენებენ. ეს პოლიცმეისტერი იყო ჩემის ბიძების კარგი



ოქროპირ ბატონიშვილი (ბაგრატიონი)  
ნახატი ანდრეი მორგუნოვის  
1841 წელი

მეგობარი. დაგვამშვიდა ამით. გავიდა ორი კვირა. არა-  
ფერი ანბავი არა ვიციტ რა. ასე შეშინდა მთავრობა,  
ორმოცი ცხენოსანი აფხოდი დადიოდა, უვლიდა გარს  
ქალაქს. ღამეში სამჯერ შემოუვლიდნენ. ვხედამდი მა-  
მაჩემს საშინელს შენუხებულს. ორი თვე ქვეშაგებიდამ  
ვეღარ ავდეგ, ისე მოვუძღურდი ტირილისაგან. ჩუმათ  
ვტიროდი, მამაჩემს კი ვეჩვენებოდი ხოლმე მხიარუ-  
ლათ, მარამ მატყობდა, რომ ნამტირალევი თვალეზი

მქონდა. როგორც იყო, ავდექი ქვეშაგებიდამ დასუსტებული.

გავიდა ორი თვე. მესამეს თვეში ქალები დაიჭირეს თავთავიანთ სახლებში, ერთიც აზნაურ შვილის ცოლი იყო. ესენი ჩვენი ნეფის ქალები იყვნენ. რუსეთიდანაც მოიყვანეს ოქროპირ ბატონისშვილი და დავითი. სხვანი, იმათთანა პირნი ვინც იყვნენ დაახლოებულნი, ისინი ღამე მიჰყვანდათ კაზარმაში პირისპირ სალაპარაკოთ. რომ გაიგონა მამაჩემა ქალების დაჭერა, მაშინვე თავში შემოიკრა, რა მეშურებოდა ნინოს გათხოება, ვაი შენს კონსტანტინეს. ეცა ელდა, ცხრა დღის მეტი ველარ იცოცხლა.

მამაშენმა თავის ქალაღდეები სულ გადაარჩია, მანამ დაიჭერდნენ, სულ დახია. მამიჩემის სიკვდილს შემდგომ, ერთს ღამეს ცხრა საათზედ შემოვიდა პოლკონიკი სუმბათოვი, სომეხი. პოლიცემისტერი თურმე გარეთ დადგა. მე ამ სახლში ამ სახით ვერ შევალ, პეტრ იოზეფიჩის დას და დისწულს აბიდას არ მივცემო. რასაკურელია, ჩვენ ამ სუმბათოვის შემოსვლაზედ ძალიან შეგვეშინდა, მარამ დამშვიდებით გვითხრა, რას სწუხართ, იოსების შკაფი და საქმის ქალაღდეები მაჩვენეთ. მე მაშინვე მიუხვდი, აქ სხვა საქმეა, არ შევკრთი, რადგანაც ვიცოდი, გადარჩეული იყო ყოველი. ქალაღდეები ვაჩვენე, მაშინ პოლიცემისტერიც შემოვიდა და ქალაღდეების შინჯვას უყურებდა. ერთი ფურცელი იპოვნა დიმიტრი სამაზვანელისა, რომელიც ეთარგმნა ქართულათ. მხოლოთ პირველი შესა-



ივან პასკევიჩი  
უცნობი მხატვარი  
1837 წელი

ვალი იყო ხემწიფის ქება. მამიბრუნდა და მითხრა, ეს წიგნი რათა ჰქონდა შენს ქმარს. მეც უთხარი, თითონ ხომ არ შეუთხზავს, რუსებს დაუნერიათ, იმასაც წაუკითხამს. ამის მეტი ვერა უპოვნეს-რა. წავიდნენ, ის ფურცელი წაიღო. ის ღამე გავატარეთ მწუხარებით მე და დედიდამ. ასე გაშიჯეთ, ორი კვირა ბელიოც არ მოუკითხამთ. შემდგომ ბელიოს მოგვიკითხამდნენ ხოლმე.

ამ ამბავში ვილასაც პასკევიჩი დაებეზდებინა. ეს საქმე იმის დროს იყო დაწყებული და არ გამოაცხადაო. მაშინვე დაებარებინა ხემნიფეს, ესე იგი ნიკოლოზს და ებძანებინა მრისხანეს სახით, ეს დაწყობილება შენს დროს ჰქონიათ ქართველებს და შენ დაჰფარე. იმას მოუხსენებინა, თქვენთვის ტყუილათ მოუხსენებიათო, თუ ქართველებს ეგ საქმე გულში ჰქონდათ, უკეთეს დროს სადღა შეხვდებოდნენო, როდესაც ოთხი სახემნიფო მეომებოდაო. შტურმით აბახაბათი ვინ აიღო, აგრეთვე ერდობათი, კარსი და სხვანი. ქართველები იყვნენ თუ რუსები, ყოველას ალაგს პირველათ ქართველები მიდიოდნენ და იმარჯვებდნენ. აზრუმიც იმათ აიღეს. მაგრამ, აი, მოგახსენოთ იმათი ჩვეულობა – ქალაქის ნაპირას არის ერთი ალაგი, რომელსაც ეძახიან – სოლოლაკი. როგორც გაზაფხულზედ ამწვანდება, მავლენ იქ. ბალებიც ბევრია, გაიტანენ ლურჯს სუფრას ქალაქში დაჩითულს, გაშლიან ტიკით ღვინოს. აზარფეშა, ყანნები, ჯიხვი, ხეზე მიყუდებული ტიკი აქვსთ. შემოუსხდებიან გარს. არც ბევრი ზაკუზკა იციან, კარგათ შექცევიან. იმ სიმთვრალეში ღმერთი რომ აღარ ახსომთ, ხემნიფე სადღა ეხსომებათ, მარამ როცა გამოფხიზლდებიან მაშინ ღვთის სიყვარული და შიშიც აქვსთ და ხემნიფისაც. მაშინ დაფიქრდა ხემნიფე, რომ პასკევიჩის პასუხი მართალი იყო. ღმერთმა აცხონოს, იმით დიდი შემწეობა მიეცა ქართველებს. მაშინ სხვა გამამძიებლები გამოგზავნა და რასაკურველია, უნდა საკანონო მიეცათ. ყველას თავთავის შესაფერათ გადაახდევინეს. წელიწადი ისხდნენ.

მამათქვენიც გაგზავნეს ვიატკაში, აგრეთვე სხვა-ნი სხვადასხვას ალაგებში. ოთხი დღე იყვნენ წასვლის დროს თავთავის სახლებში, მაგრამ სამ-სამი დესეტნიკი გარედამ კარებში იწვნენ. მე ბევრის ტირილის გამო თვალები ამტკივდა. ჩემა მამამთილმა წამამიყვანა რუისში, იქ გაერთობა, ყმანვილი ქალები მყვანან სახლში, აგრეთვე ჩემი რძლები არიან და გაართობენ. ის იმას სწუხდა, თვალები არ წაუხდესო და საწყალი შვილს აღარა სწუხდა ისე, როგორც ჩემთვის სწუხდა. თუ ჩემს შვილს ეს საქმე ჰქონდა გულში, სხვის ცოდოს რათ იდებდა. მოვედი ერთის შვილით, ვნახე სოფლური ცხოვრება და ჩვეულება, რომელიც ჩემთვის პირველი იყო და მიკვირდა.

შემოდგომაზედ ბიძა ჩემი – გაბრიელი ამოვიდა, სთხოვა ჩემს მამამთილს, ჩემს დისწულს ნება უბოძეთ, რომ წავიყვანო ქალაქში, მაინც იოსებიც იქ არის. ჯერ ისევ კაზარმაში იყო ხალხი. ეს პირველს წელიწადს მამიყვანეს, ჩემი მამამთილი შეაგულიანეს და ჯერ ნება მისცა ბიძაჩემს, მერე უარი უთხრა. ძმის ცოლმა შეაგულიანა, რადგანაც იმას ორი ქალი ჰყვანდა და იმათ ხელსაქმეს ვასწავლიდი. ერთის სიტყვით, ძალიან გაჩხლდა, რომ გამიკვირდა, ბიძაჩემი უვახშმო მაშინვე წავიდა ქალაქს. მე, რასაკურველია, ვინწუხე.

შემდგომ ათის დღისა მოგვივიდა კაცი ჩვენი ნათესავი პრისტავისა. ის იყო ზედგინიძე. დესატნიკი გამოეგზავნა და ინერებოდა, რუსეთში გზავნიან იოსებს და ოთხი დღე შინ ნებას აძლევენ და მალე ჩამოდიო, რო-



სხედან: ნიკოლოზ და ნინო მამაცაშვილები  
დგანან: გიორგი, დიმიტრი, ზაქარია, კონსტანტინე და  
ქრისტეფორე მამაცაშვილები  
1870-იანი წლები

გორც მიიღოთ წიგნი, იმ მინუტშივე წამოდით. ამ წიგნის წაკითხვაზედ, მოგეცათ სიცოცხლე, რომ იმან ის ლანძღა, ვინც მაშინ დაშლევინა და არ გამგზავნა. რაღას იზამდა, ღამის ცხრა საათი იყო ქრისტიშობესთვე. შეაბეს ურემი. ჩემი მამამთილი, დედამთილი, მე, ჩემი წლისა შვილი პირველი და გამდელი წავედით გორს. გათენდა და მიველით. გარეთ ერთს ვენახს ღობესთან გადავხტით და ჩემი მამამთილი შევიდა გორს. პადაროჟუნა აიღო ტროიკისა, მაიტანა სადილობისას და წავედით ქალაქს იმ ბიძაჩემის სახლში. დედიდაც იქა მყვანდა, ძმაც



და დაც. მერე ბევრი ბოდიშები იხადა ბიძაჩემთან, მარამ ის ნიშნს უგებდა, მე კეთილშობილურათ მოგექეციო და თქვენ ძალიან ცუდათ, ახლა რომელი სჯობდა.

მეორეს დღეს ნება მოგვცეს, რომ მივედით და ვნახეთ. კაზარმაში მესამეს დღეს მთელის დღით მიგვიღეს. სადილი წინ გავაკეთებინეთ, ცალკე ოთახი მოგვცეს, საღამომდის ერთათ ვიყავით ყველანი. მეოთხეს დღეს შინ ნება მისცეს. ოთხი დღე იყო შინ. სამი დესეტნიკი ეზოში იყო. იმის ყარაულათ მეხუთეს დღეს წაიყვანეს ვიატკაში. აგრეთვე სხვანი სხვადასხვა ალაგებში. ახლა თქვენ იფიქრეთ, იმ მოხუცებულის მამისა და დედის მდგომარეობა რა იქნებოდა.

მე დავრჩი დედიდაჩემთან, გავატარე ცხრა თვე, მომეცა მეორე შვილი, ესე იგი ზაქარია. ის ზამთარი ქალაქში გავატარე მწუხარებაში. ოჯახიდან არაფერი ყურის გდება არა მქონდა, თითქოს იმ ოჯახის რძალი არ ვიყავი. გაზაფხულზედ მოვედი რუისში. სანყალი ჩემი მამამთილი მწუხარებით ავათ იყო, ნიკრისის ქარი ჰქონდა და ჯავრმა უარესი უყო. რაცა მქონდა ტანისამოსი, გამიცვდა. აღარავინ ფიქრობს ჩემს და ჩემის შვილების ჩაცმას. ჩემს მამამთილს ორი ძმა კიდევ ჰყვანდა. ის მეორე ძმა უფლებდა მთელს ოჯახში. მეორე რძლები – ჩემის მამამთილის ძმის ცოლები უშვილონი იყვნენ, მესამეს ორი ქალი ჰყვანდა. იმათ ვასწავლიდი ხელსაქმეს, ცალის თვალით ვტიროდი, ცალით – ვიცინოდი. შვილებიც გამიტიტვლდნენ. არავინ ფიქრობს ჩვენს ჩაცმას, მხოლოდ ხშირად იტყოდნენ,

ოჯახს ვალი არა აქვს, რომ რძალი შეინახოს. ერთი მამიდაშვილი ჰყვანდათ – ორჯონიკიძე. ის ნასწავლი კაციც იყო. სამსახურში გორს კაზნაჩიით იყო. იმანაც რამდენჯერმე მითხრა, ოჯახი რძალს არ შეინახამს.

ბოლოს ვიფიქრე, უნდა ჩემს ქმართან წავიდე, ჩემს ძმას გამოვართმევ ჩემს წილს მამულს, გავყიდი და იმ ფულით წავალ. იქამდინ გამიჭირდა საქმე, რომ პერანგის გამოსაცვლელი გულიპირისა არ მქონდა. ერთი შალის პატარა თავზედ მოსახვევი მქონდა, დღე გულზედ მეფარა, ღამე თავზედ მეხურა. გავატარე ეს წელიწადი. მერე დედიდაჩემა დამიბარა და გამგზავნა ჩემა მამათილმა იმასთან ქალაქში. მე მყვანდა ჩემის შვილის – ზაქარიას მამნათვლელი ჯანდარმის პოლკოვნიკი. ის დავიბარე და ვსთხოვე, რომ ჩემს ქმართან გამგზავნეთ სახელმწიფოს ხარჯით. იმან ეს პასუხი მომცა, ნუ სწუხარ ადიდე ღმერთი და მერე ხემწიფე, ღმერთი მოწყალეა. მე უთხარ, მამა აღარა მყავს, ის კარგი ბიძები, ძმა მცირე წლოვანი არის, ორის შვილით როგორ ვიცხოვრო. დედიდას ათი თუმნის მეტი პენცია არ აქვს, ესეც ხელსაქმით სცხოვრებს. კიდევ ეს პასუხი მამცა.

გაზაფხულზედ ისევ რუისში მოვედი და ვიყავ მოთმინებაში. ღამე ქვეშაგებში ვტიროდი, დღე ამ ყმანვილს ქალებთან ვერთობოდი. ერთი მოხუცი ყმის ცოლი მყვანდა ჩემის შვილების მომლელი. ის რძეს მომიტანდა დილით ხან თვის სახლიდამ, ხან ჩვენისვე ოჯახიდამ, ქალბატონო, ჩაის მაგივრათ ეს ცხელი რძე მიირთვი, მანოვარი ბძანდები და რძეს მოგვრის.

გავიდა ორი წელიწადი. მესამეს წელიწადში საფერისცვალოთ ორმოცი კოდი ჰური აინყო იმ შუათანა ძმამ – ნიკოლოზმა, ზოგი დუქნის დანახარჯიანო, ზოგიც მოჯამაგირებს უნდა უყიდო ტანისამოსიო. იმას გალავანში საკუთარი დუქანი ჰქონდა, თავის სასარგებლოთ ამუშავებდა. სანყალმა ჩემა მამამთილმა ძალიან ინუხა, რომ ჩვენ არაფერში არ მოგვიგონა, იმას კი არა უთხრარა და თავის ძმის ცოლებს უთხრა საყვედური ჩემს მალვით, რომ მე არ გამეგონა. ისეც ვიცოდი, რომ სნუხდა. მოატანა ამ სოფლის დღესასწაულმა, ვნახე, არას ფიქრობენ. მქონდა ძველებური ფარჩა ჩიჩაგლახურა, ხუთი არშინი, ის ამოვიღე და მინდოდა, ყმანვილებისათვის შემეკერა. მერე რომ დაინახა სიდონიამ, მაშინვე გამამართო, ნუ გააფუჭებ ამისთანას ყმანვილებისთვის, მოვლენ ვაჭრები და გიყიდი. მართლაც, ერთი საათი გავიდა და შემოვიდა ურია. კარგი სასოფლო ფარჩა მოიტანა, ყვითელი კანაოზი მიყიდა ორივეს საახალუხეთ. უმცროსმა რძალმა – სავანის ქალმა, საცერას უძახდნენ, იმის ლეჩაქი მიყიდა თავსაკრავი, ორი არშინიც მიტკალი, პერანგის გულის პირები გამოვიცვალე. მაშინ იმითი შევიქენ მორთული შვილებიანათ.

გავიდა ეს ზაფხული, აგრეთვე ზამთარი. ამავე ცხოვრებაში მამათქვენს ვიატკის ლუბერნატორისათვის ქალღი მიეცა და ეთხოვნა, ჩემი საქმე თქვენთან ცხადია და ეს სამი წელიწადი შესრულდება, რაც თქვენთან გახლავართ სამსახურში და არავითარი დანაშაული არა გინახამთ-რა და გთხოვთ, მიშუამავლოთ ხემწიფესთან,



ნიკოლოზ ფალავანდიშვილი  
ნახატი პლატონ ჩელიშჩევის  
ტფილისი, 1836 წელი

რომ გამანთავისუფლოს, ჩემი ცოლ-შვილი უკანასკნელს მწუხარებაში არიან ჩემის მოშორებით, აგრეთვე მე ყმანვილმა შევირთე ცოლი და ახლა ეს უბედურება მამივიდა. ნეტავი ცოლ-შვილი არა მყვანდეს, ასე არ ვინუხებდი ჩემი ქვეყნის დაშორებას. ღმერთმა მშვიდობა მისცეს, მიელო ის თხოვნა და ხემწიფისათვისაც შუამავლობა ეთხოვნა, იმის შუამავლობით დაათხოვნა ხემწიფეს. მაშინ ნიკოლოზი მეფობდა. აღდგომის წინას დღეს

მიელო ლუბერნატორს დათხოვნის ქალაღდი. აღდგომას რომ მივიდნენ მისალოცათ, ზაკუსკის შემდგომ, გუბერნატორს ებძანებინა, შენ აქ დარჩიო. შეეყვანა კაბინეთში, ეთქვა, ეს ქალაღდი ნაიკითხეო. თურმე იმას გული გადაუბრუნდა, ვაი თუ უარი არისო. როდესაც ნაიკითხა, მაშინ მხიარულათ დიდი მადლობა მოეხსენებინა, სიხარულით ნამოსულიყო ბინაზედ, სამიც სხვა ამხანაგი ყვანდა იქაური ჩინოვნიკები, იმათაც დიდათ გახარებოდათ. თუ რამ ბარგი ჰქონოდა, იმათვე აელოთ და ერთიორათ მიეცათ ფასი, რომ საგზაო ფული ჰქონოდა.

მომივიდა წიგნი მოსვლისა. ახლა ჩვენც დიდი სიხარული მივიღეთ. ნათესაობამ თავი მოიყარა და გაიმართა მასპინძლობა. ჩამოვიდა ქალაქში დედიდაჩემთან, გამოეცხადა ლუბერნატორს. მაშინ ქართველი ლუბერნატორი იყო ფალავანდოვი. შემდგომ რუისში მოვიდა და დარჩა რამდენიმე ხანი. ნავიდა ისევ ქალაქში, რომ სამსახური მიელო. ფალავანდოვმა მისცა სტოლნაჩალნიკის პომოშნიკობა. მეც ჩემის შვილებით და დედაკაცით ჩავედი შემოდგომაზე ქალაქში. დედიდაჩემთან ვიყავით, იმას ერთი მოზდილი ოთახი ჰქონდა, საკუთარი ერთიც ქირის სახლი, საცა ბარგი გვექონდა. ჩემი დაც და ძმაც ჩვენთან იყვნენ, ჩემი და და დედიდაჩემი ფასით. საკერავს ჰკერამდნენ. ბიძაჩემი გაბრიელი გვენეოდა შემით, პურით, საკლავით, ერბოს და სოფლიურს ხორაგით ამგვარის შემწეობით ვცხოვრებდით. დედიდას ერთი ყმანვილი გოგო ჰყვანდა, ის ვაჭრობდა და საჭმელსაც ის გვიკეთებდა.

მამეცა მესამე შვილი, ესე იგი ანეტა. იმისთანა გაჭირებულს ცხოვრებაში ვიყავით, რომ არ ვიცოდით, ან ყმანვილისათვის რა შემეკერა ტანისამოსი, ან აკვნის იარაღი. როგორც იყო, მოვამზადე ზოგი ერთმანეთის გამონაცვალით, ზოგი ახლით. ესეც ასე გავატარე, მერე მიიღო სტოლნაჩაღნიკობა, მისცეს თვეში ხუთი თუმანი. შინადამ დიდის გაჭირებით თუ მოგვივიდოდა ერთი ტომარა პური და ხილი, დიდი საქმე იყო, მარამ ხან ბიძები სთხოვდნენ საკაბეს, საჩოხეს. ახლა გასათხოვარი და ჰყვანდა ეკატერინე, იმასაც ხანდახან უგზავნიდით. ის უფრო ჩვენი ვალი იყო.

მეორის წლის შემოდგომაზედ ბიძაშენმა დაასრულა კურსი პეტერბურგში, მიიღო არტელერიაში პრაპორჩიკობა. შინადამ ძლივს ხუთი თუმანი გაუგზავნეს. უნინ დეკემბერში უშვებდნენ და პრაგონს და ტანისამოსს ცოტას აძლევდნენ, იმ ფულით ზოგი წიგნები ეყიდნა, ასე რომ ერთის სტანციის ფულიც აქ მივეციტ ტროიკის კუჩერს. ჩამოხტა ჩვენთან, გაუბით ფარდა და ისე დავანვინეთ. აგრეთვე ერთს კუთხეში ჩვენთვის გავაკეთეთ ფარდა. იმ ღამეს ბიძაშენმა კვნესით გაათენა, გზას ისე შეენუხებინა. მაშინ არტელერიას ნაჩაღნიკათ იყო კაზლეინოვი. ის ჩვენ კარგათ გვიცნობდა. ჩვენს ფათერში იდგა სამეოვცკის ქვრივი, იმასთან დადიოდა და ის აძლევდა საკერავს. ხან ქართული ქათიბი შეაკერვინა დისწულისათვის რუსეთში გასაგზავნათ, ასე ბელიოს წინდებს აქსოვინებდა, დიდ შემწეობას აძლევდა დედიდა ჩემს. მეორეს დღეს ბიძაშენმა ჩაიცო მუნდერი



კონსტანტინე მამაცაშვილი  
1870-იანი წლები  
ფოტოგრაფი: ედუარდ ვესტლი

და წავიდა გამოსაცხადებლათ. იქიდან მოვიდა, დაწვა და ხუთი თვე ავანტყოფი შევინახეთ. გამხმარ ტროიკას და წიგნებზედ ხმელათ ჯდომას დაეჩეჩევა სხეული და იმის სიმსივნე და ტეხა ჰქონდა. ერთი მეზობელი მყვან-და ექიმი, იმან უწამლა. გვედგა რკინის ფეჩი იმის ახლო და გაუქრობლათ ვანთებდით. იმდენი წლის სიცოცხლე შეგემატოსთ, რამდენჯერაც მე შეშა დავჭერ და ავანთე ფეჩი, ბევრჯელ რომ ბიჭი არ იქნებოდა.

გავიდა ხუთი თვე, სრულებით განთავისუფლდა, ნავიდა ჯალალოლღს. ჟურვინსკი იყო ბატარეის კამანდერი. იმის ბატარიაში ემსახურებოდა. ჩვენ კიდევე დედიდა ჩემთან ვიდექით იმ ერთს ოთახში ვიდრე ხუთს შვილამდინ. არა გვქონდა ღონისძიება, რომ სახლი მექირავნა. შემდგომ იქვე ახლო დავიჭირეთ ორი ოთახი, ერთი სასტუმროთ გვქონდა, მეორე საწოლათ შვილებიანათ. ერთი ბიჭი მყვანდა, მეორე ის მოხუცი დედაკაცი. საჭმელს იმ ბიჭს ვაკეთებინებდი, თავს ვადექი. ასე გავატარეთ ერთი წელიწადი. მეორე სხვა თანამდებობაც მისცეს, იქ იღებდა წელიწადში სამოც თუმანს. მალე პრავიტლობაც მიიღო. მაშინ კახანოვი იყო ლუბერნატორათ. მერე ანჩხატის დეკანოზის სახლში გადმოვედით. ოთახი იყო თავის პრიხოჟით, კუხნით. გავიმართენით კარგათ.

რამდენსამე წელიწადს უკან მოინდომა გორში სამსახური, რომ თავის მამულზედ ახლო ყოფილიყო. მაშინ მამა აღარა ჰყვანდა. 1842 სუდიობა მიიღო. წავედი გორს. ჩემი ძმაც დიამბეგათ იყო ხიდის თავში. დედიდაჩემი და ჩემი და ხიდისთავს იყვნენ ხოლმე ხშირათ, რადგან ჩემი ძმა უცოლო იყო, იმის ოჯახს ყურს უგდებდნენ. ანიკო და ქრისტეფორეც იმათთან იყო ხშირათ, ისინი უვლიდნენ. სხვანი მე მყავდნენ, რაც შეიძლებოდა, ვატარებდით კარგათ. ზუბალაანი იყვნენ სამი კომლი, ტერსტეფანაანი, აგრეთვე ერისთვიანი, ცოლიანი პოლკოვი კამანდირი იყო ფლიგელ ატუნტანი, მაგილევსკის ქალი ჰყვანდა ცოლათ. ჩვენ სიყმაწვილით ვიცნობდით ერთმანეთს. იმის მამა სუ-





გორი

ნახატი ნიკანორ ჩერნეცოვის

1830-იანი წლები

ღირასპავის ნაჩალნიკი იყო, პაპიჩემის მონაფე, ქართველი ქალი ჰყვანდა ცოლათ და იმათი სამი ქალი დედიდაჩემს ებარა ხელსაქმისათვის, მხოლოდ ჩინოვნიკი მოვიდოდა დღეში ორი საათი და რუსულს წიგნს ასწავლიდა. როდესაც გამოვემცნაურე, მოაგონდა და დიდათ ესიამოვნა. ხან ხიდისთავში გავიდოდით, პოლკოვოი მუზიკა და თავის აფიცრები მოჰყვანდა, აგრეთვე დევიზიონი კამანდერი და ატარებდენ დროს. ასე იყო ჩვენი გორში ცხოვრება.

მერე დოღლაურის პომეშიკებმა გავვიცნეს და მამულები მოგვყიდეს ნაწილ-ნაწილა. იმ მამულების გამო ბევრი ნაკლულება გამოვიარე, ჩაცმა-დახურვა მოვი-

კელ, რომ ვალით არ გვეყიდნა. ჩემა ძმამაც მამცა მამუ-  
ლი. ის გავყიდეთ. სამოცი თუმანიც იმისი დავხარჯეთ  
დოღლაურისათვის. ბევრს კარგს შეყრილობას ვაკლდი.

მერე მოვიდა სხვა დევიზიონი კამანდერი, ცოლია-  
ნი. მამა შენმა ჩინოვნიკებს ურჩია, რომ საბრანია გაუ-  
მართოთ, შევაგროვოთ ფული ნელინადში თხუთმეტი  
მანეთი ჩინოვნიკებმა მოქალაქეებმა, მუზიკა პოლკის  
იქნება, ზოგიც, ვინც გორში ცხოვრებენ თავად-აზნაუ-  
რები, ისინიც ისურვებენ. სუბუქი მორთულება იყოს  
ქალებისა, ნუ მივხედამთ დიდის ქალაქის მორთულო-  
ბას და კვირაში ერთხელ გვექონდეს სობრანია. ვისაც  
ეკიპაჟი აქვს, იმათ ეკიპაჟი შემოგვანიონ. ამაზედ სია-  
მოვნებით ყველამ ხელი მოაწერა. მხოლოდ ჩაი იყო  
ხოლმე. გაიმართა პირველს იანვარს საბრანიები. როცა  
ხემწიფის დღესასწაული იყო, მაშინ ვახშამიც გვექონ-  
და. თანდათან უკეთესათ შეიქნა ჩვენი საზოგადოება.  
ქართველმა ქალებმა ტანცაობა არავინ იცოდა მე და  
ჩემი დის მეტმა. მერე მოქალაქის ქალებმაც ისწავლეს.  
ერთი აკუშერკა იყო გორში, რუსი, იმას სამი ქალი  
ჰყვანდა, ერთი გათხოვილი, ორი გასათხოვარი. შეუ-  
ვიდათ შური, რომ კავალერების მომატებული ნაწილი  
ჩვენთან ტანცაობდნენ. იმ ქალებმა დაიწყეს ლაპარა-  
კი, რომ ჩვენი აფიცრები დათვები არიანო, ქართვე-  
ლებთან უფრო ცდილობენო დროს გატარებასო, მინამ  
ჩვენთანაო. ეს იმათი ლაპარაკი რომ გაიგეს, მეორეს  
დღეს შეიყარნენ რამდენიმე აფიცრები, მივიდნენ და  
დათვებივით ფანჯრებთან ბლავილი დაიწყეს. იმ კვი-

რაში კიდევ კარგი საბრანია იყო, ნახეს იმ ქალებმა, რომ იმათ არავინა სთხოვდა თითოთოროლას მეტმა, გააბრიყვეს თავისი სიძე და ვისთანაც მე ვტანცაობდი, იმის ვიზავათ დადგა, რომ მე აბიდა მამცეს. ვთამაშობთ კადრელს და როდესაც დამებს სცვლიდნენ და ხელი ხელთ ვაძლევდით, იმან მე ხელზედ მამიჭირა. გაუშალე სილა, დაგვარ, წამოველ, ჩემს სკამზედ დავჯექ. აირია მთელი ის საბრანია. ჩვენმა ქართველობამ ძალიან თავს გამოიდეს, დალანძღეს ის. მაშინვე იმ პოლკიდამ გადავიდა სხვა პოლკში. მე იმიტომ უფრო ცხადათ და სტროგათ აღვასრულე, რომ არ ეთქვათ, გრუზინკა არის და არ იცის.

მე პირველს გორში მისვლის დროს ვეზიტი გაუკეთე და როდესაც შევატყო, რომ ვერ იყვნენ კარგი ყოფაქცევისანი, არ დავდიოდი. იმაზედაც ჯავრი მოზდიოდათ. შვიდი წელიწადი გავატარეთ ასე. უფროსი ქალი ანეტა გახდა შვიდი წლისა. ამის გაზდას ვფიქრობ. ახლო მეზობლათ გვყვანდნენ რაბოჩი როტის კაპიტანი, ნაფეთბილერი, იმას ხუთი ქალი ჰყვანდა გასათხოვარნი, იმათ მივაბარე ღამე დგომით, რომ რუსული ესწავლა, ამასთან რუსულ საჭმელს შეშჩვეოდა, რომ ინსტიტუტში არ ეწყინა იმგვარს საჭმელს. სუდში ემსახურებოდა ზასედატელი კახანოვცკი, ცოლშვილიანი, რომელიც ქალაქშიაც ერთათ ემსახურებოდნენ ლუბერნატორის კანცელარიაში. ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით კარგათ. მამაშენი რომ სუდიათ გადმოვიდა, იმანაც იმასთან მოინდომა სამსახური. იმას მე შვილი მოუნათლე, იმის ცოლი



ანა (ანეტა) მამაცაშვილი-ბაქრაძე  
1870-იანი წლები

იყო ფრანცუცი, კახანოვცკი – პოლაკი. მერე მითხრა იმ ქალმა, შენს ქალს მე ავიყვან, დღე და ღამე ჩემთან ვიყოლიებ, იქ რა უნდა ისწავლოს. მართლაც, იმან მიიღო, თუმცა, ფული არ გამამართო – ისე პატივისა ვცემდი სხვას რიგათ, რომ ფულთან გამოდიოდა.

ახლა გახდა რვა წლისა. მინდა, ქალაქში მივცე ინსტიტუტში. მამაშენი არას ფიქრობს. მეორე ქალიც მომესწრო სწავლისათვის. მე დღედაღამ ჩავჩიჩინებდი, რომ დოკუმენტები, რაც საჭიროა, მამიმზადე და მე ვი-

ცი და ამათმა მიცემამ სასწავლებელში. ეს შევასრულე-  
ბინე, ნიკო და ზაქარია გორის გემნაზიაში არიან. ნიკო  
პანციონში არის კანდიდატატ ჩანერილი ქალაქს. ახლა  
უთხარი, რომ ჩავიყვან ანეტას ქალაქს და ზავედენია-  
ში ცოტას იღებენ და იქ მივსცემ. ესეც კანდიდატკატ  
ეგების შევარიცხვინო ინსტიტუტში. ესეც შევასრულე,  
წავიყვანე ქალაქს, დედიდაჩემთან ჩავიყვანე და ის უგ-  
დებდა ყურს. ახლა ვნახე ღენარალის ცოლი კახანოვი-  
სა, რომელიც ღუბერნატორატ იყო. იმის ქმარი ისევ ის  
ზავედენიას პაპეჩიტელი იყო. იმას ვთხოვე, რომ შემე-  
წიოს და ინსტიტუტში ააყვანოს. კნეინა ვარანცოვის  
ცოლთან კარგატ იყო მიღებული. იმან მითხრა, ჯერ  
იქ ვაკანცია არ არის და მანამ აქ მიეცი შენის ხარჯით,  
რომ დრო არ დაკარგოს სწავლისა. მივეცი ზავედენია-  
ში, მოვედი შინ და ახლა მარიამი მიიღო კახანოვცკის  
ცოლმა თავისთან, რომ რუსული ესწავლა.

ამ შემთხვევაში გავიდა სამი თვე, კნეინა ვარანცო-  
ვისა მობძანდა გორს, ქუთაისში მიბძანდებოდა და-  
ვავედენიის გასახსნელატ. კახანოვის უფროსი შვილი  
გორს იყო მაშინ, ცოლიანი, ინჟინერში ემსახურებოდა.  
იმასთან ჩამოხტნენ. მე და ისინი ძალიან კარგი მე-  
გობრები ვიყავით, რაც დასჭირდებოდა, ჩემთვის უნდა  
ეთხოვნატ. დედას და მამას იქვე ეთქვატ, ისინი გაი-  
ცანიო. მაშო იმის დის ნატლული იყო. ეს შემთხვევა  
ძალიან მესიამოვნა. წავედი, ვნახე კახანოვის ცოლი და  
ვსთხოვე, რომ კნეინა ვარანცოვისა მაჩვენეთ და შე-  
მეწიეთ, რომ ცხრა შვილი მყავს გასაზდელი და არა



*ელიზავეტა ბრანიცკაია-ვორონცოვა*

მაქვს შეძლება, რომ ჩემის ხარჯით გავზარდო. მართლაც, მაჩვენა, კარგათ მიმიღო და აღმითქვა, რომ თქვენს თხოვნას ავასრულებო. ქუთაისიდან რომ დაბრუნდა, მიბძანდა ზავედენიაში და იკითხა, მამაცოვი მაჩვენეთ, თქვენი ახალი შაგირდი. წარუდგინეს. მერე ებძანებინა, ინსიტუტში გადაიყვანეთ ჩემს ხარჯზე. ერთის კვირის მიცემული იყო ზავედენიაში.

წლის შემდგომ მოგვივიდა ცნობა, ბალდროვკა იქნება აგვისტოს გასულს და ქალი ჩამოიყვანეთ. წავედი

და ნავიყვანე მარიამი. მამხედა ღმერთმა და ამოვი-  
და ბილეთი. ისიც მიიღეს. რომ მოვდიოდით ქალაქს,  
გზაზე შეგვხვდა ერთი თავადიშვილი ცხენით, იმასაც  
ქალი მოჰყვანდა ინსტიტუტში. ჩვენ ჩამომხტარი ვი-  
ყავით მინდორზე პურის საჭმელათ. მე უთხარ, აი,  
შვილო, ისიც იქ მიჰყავთ იმერიტიდამ, იმ შიშორედამ.  
ჩვენ ამ ორს თვეს უკან ქალაქში ვიქნებით და ყოველ  
კვირა გნახამთ, მითომ და არ ინაღვლოს მეთქი. მივე-  
დით მესამეს დღეს ბალდროვკასთვის. ისინიც იქ დაგ-  
ვხვდნენ, ისინი იყვნენ წულუკიძე. ის ქალი, რომელიც  
პაპარიგოპულომ შეირთო. იმას არ ამოუიდა და იმან  
მითხრა, მე ბებუთოვთან წავალ, იმან აღმითქვა მიღე-  
ბა, ვასილ ოსეფიჩმა. მიღების მესამეს დღეს კიდევ შე-  
ვიყარენით ერთათ. ახლა ბალნიცაში უნდა შევიყვანოთ  
ქალები, რომ დობტურმა და ბალნიცის დამამ გაშინ-  
ჯონ. წულუკიძეს უთხრეს, ქალი მაიყვანე ვინმეო, რომ  
ბალნიცაში შეჰყვესო, თქვენი შესვლა...

*ორი ფურცელი აკლია. როგორც სჩანს, ამ ფურ-  
ცლებზედ წულუკიძეს ქალზე და ბიძაჩემი კონსტან-  
ტინეზე ეწერა, რადგანაც მე დედაჩემისაგან ხშირათ  
გამიგონია ამათზე, ამისათვის მე ვწერ, რაც მახსომა:*

*დედა ჩემმა, ნინო მამაცაშვილისამ რომ ნახა, რომ  
წულუკიძე შესწუხდა, რომ ბალნიცაში არ შეიძლება  
იმისი შესვლა, უთუოთ ქალმა უნდა შევიყვანოს ყმანვი-  
ლი, უთხრა: ნუ სწუხართ, მე შევიყვან იქ თქვენ ქალს და  
ჩემ ქალს ერთათ, თქვენ მხოლოდ უთხარით ნაჩაღნი-*



ნატალია ნულუკიძე  
ტფილისი, 1870-იანი წლები  
ფოტოგრაფები: დები ორლაი დე კარვეზი

ცას, რომ მე თქვენი ნათესავი ვარ და მამცეს ნება, რომ ყოველ დღესასწაულში (როგორც მახსოვს, წელიწადში ორჯერ, შობას და აღდგომას, ითხოვდნენ ქალებს სახლში თითო დღით) ჩემ ქალთან ერთად გამოვიყვანო ხოლმე და წავიყვანო ჩემ სახლში. ნულუკიძემ ძალიან გაიხარა და მადლობა მოახსენა. მართლაც, იმ დღეს აქეთ დედაჩემი ისე პატრონობდა იმ ქალს, როგორც თავის შვილს, მაშოს – ერთად დაასრულეს კურსი ინ-





კონსტანტინე მამაცაშვილი  
ტფილისი, 1880-იანი წლები  
ფოტოგრაფი: ალექსანდრე როინაშვილი

სიტუტში. მშვენიერი ქალი დადგა, დედაჩემა იფიქრა  
ბიძაჩემისთვის კონსტანტინე ქრისტეფორიჩის, დაუნ-  
ყო ბიძაჩემს ცოლის შერთვაზე ლაპარაკი, ის დიდ უარს  
იყო: რაღა დროს ჩემი ცოლის შერთვის დროაო, თქვენი  
შვილებიც ჩემი შვილები არიანო, ეგ პატარა ჩვენი მა-  
მული რაღა გასაყოფიაო. დედაჩემი არ მოეშო და ბო-  
ლოს უთხრა ნულუკიძეს ქალზე, კარგი ხასიათისაც  
არისო და ძალიან ლამაზიც არისო. მაშინ კონსტანტინემ

უპასუხა: ეგ კი ჩემი შესაფერი არ არისო და მაგისი და კი უფროსიაო და მამწონსო. მაშ, ის ქალი შეირთეო და იმდენი ელაპარაკა, რომ ძლივს გააბედინა. მაშინ დედაჩემს სთხოვა, მაშ, თქვენ მამამზადეთო, რაც რიგიაო და მე ნავალ ქუთაისში და ჯვარს დავინერ იმ ქალზეო, იქ რომ ვიყავი, სიტყვა გამიტარესო. მისცა დედას ხუთასი თუმანი და სთხოვა, რომ მზითევი ეყიდნა, რაც კი საჭირო იყოსო. დედაჩემმა უთხრა: იმის დედა ახალი ქვრივიაო და ჩვეულობა ის არისო, რომ სასიძომ უნდა შავები გამოუცვალოსო. ასე რომ, იმის დედასაც ერთი ხელი ტანისამოსი და ქათიბიც კი უყიდა და იმის დედასაც აგრეთვე თითო ხელი ტანისამოსი. ეს ხუთასი თუმანი სულ იმათ მოუნდათ. მაშინ ნატალია დავიდოვნა (კონსტანტინეს მეუღლე) ქართულათ თურმე იცვამდა. იმისი და კი, რომელმაც მაშოსთან გაათავა, ელენე დავიდოვნა პაპარიგოპულოვმა შეირთო.

1933 წ. 18 მკათათვეს – ბარბარე ღვინიაშვილისა

...თორმეტს საათზედ წავედით მე და ზაქარია და საღამოს შვიდს საათზედ მოველით. რომ მოგვეპიდა, ორი სტაქანი შოკოლადი დავლიეთ, რაც ვიყიდე, სულ გრანიცის საქონელი იყო. ჩვენს ახლო დაიჭირა სახლი სტროევისა. ერთი პოვარი დააგდო და ერთიც კაცი წავიდა. ნიშანი თითონ იყიდა ორასის თუმნისა, ბროშკა, ბრასლეტი, საყურე ბრილიანტისა, საათი თავის ძენკვით, ესენი წაიღო, იქ დარჩა ათი დღე. მოვიდნენ, ვახშამი მე მოუმზადებინე თავის სახლში. თან



გრიგოლ ეპისკოპოსი  
ტფილისი, 1880-იანი წლები  
ფოტოგრაფი: დიმიტრი ერმაკოვი

მოჰყვენენ ძმა-ბიძები და ერთიც აზნაურშვილის ქალი  
გასათხოვარი, იმათი ნათლული ყოფილიყო; მეორეს  
დღეს – დადიანი, ბიძა იყო, ეხლა რომ არქიერია, ორიც  
ბიძაშვილები ვოენში ემსახურებოდნენ. ახლა დის ნახვა  
უნდა, რომელიც ინსიტუტში არის. მე უთხარ, წავალ,  
მოვიყვან, სადამომდინ აქა გვყვანდეს, იმის კლასნი და-  
მაც მოვა. მე ნაჩაღნიცასთან კარგათ ვიყავ მიღებული  
და იმედი მქონდა, გამომატანდა. მოვგვარე თავისი და,

რომელიც დიდათ გაიკვირვა დადიანმა გრიგოლმა, რომ მომცეს ნება წამოყვანისა. კლასნი დამა ჩემთან წავიყვანე სალამომდინ. ისიამოვნეს ჩვენც და იმათაც. სალამოზედ ისევ ჩავაბარე ნაჩაღნიცას. ეს ასე გათავდა.

მამაშენი რომ რუსეთში გაისტუმრეს, ზამთარი იყო, ესე იგი დეკემბერი. მე ქალაქში დავრჩი, აღარ წამიყვანა ჩემმა მამამთილმა. ნიკოს ისევ ძუძუს ვანოვებდი ჩემის ფიქრის და ჯავრის გამართობელი ვეფხვის ტყაოსანი იყო. იმ ალაგებში ვკითხულობდი ხშირათ, რომელიც ნესტანდარეჯანის დაკარგვა იყო და მწუხარება. აკვანს რომ მივეყუდებოდი ძუძუს საწოებლათ, წინ ვეფხვის ტყაოსანი მედო და ვკითხულობდი და თან ვტიროდი. დედიდაჩემს ასე შეშინდა, რომ ფიქრობდა, ჭკუაზედ არ შესცდესო. გავიდა ამ მდგომარეობაში ცხრა თვე და მამეცა ზაქარია. მერე გაზაფხულზედ წამიყვანეს ისევ რუისს, იქაური მდგომარეობა ზემოთ მოვიხსენიე. გავატარე უსიამოვნო ცხოვრება ორი წელიწადი და ნახევარი. მოვიდა მშვიდობით, ჩამოვედით ქალაქში დედიდაჩემთან, მცირე ჯამაგირით გავატარეთ რამდენიმე წელიწადი, მერე ხომ სუდიობა მისცეს. იქიდან ცხრა შვილით ჩამოვედით.

ქალაქში ქირით გვეჭირა სახლი სოვეტნიკათ. ახლა ქრისტეფორე მყავს ცხრა წლისა. მამას უნდა, რომ გემნაზიაში მისცეს. მე დიდს უარზედა ვარ. არ მინდა აქ გაზდა. უნდა კორპუსში გავგზავნო. იმდენს ვეცადე, რომ გავაგზავნინე. ლიზა მყავს ზავედენიაში, მარამ



*ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილი  
ტფილისი, 1870-იანი წლები  
ფოტოგრაფი: არტემ შახბაზიან*

ინსტიტუტში კანდიდატკათ იყო, მარამ ბალდროვკა არ ამოუვიდა, ისევ დარჩა ზავედენიაში. დარიკოსათვისაც ვეცადე და ინსტიტუტში შევარიცხვინე. იმასაც ღმერთმა მიმხედა და მიიღეს ბალდროვკით. ახლა ბაბა-ლე და ელენე მყვანან პატარები. უბედური დიმიტრიც გავგზავნე კორპუზში და კოტე პატარა არის. თურმე მამაშენს დიმიტრი სკოლა-გემნაზიაში [ჰყავს] შერიცხული კანდიდატათ სახელმწიფო ხარჯზედ. ერთ დროს



*კონსტანტინე იოსების ძე მამაცაშვილი  
ტფილისი, 1870-იანი წლები*

მოგვივიდა ქალაქი, ვაკანცია გაიხსნა და მოიყვანეთ ყმაწვილი. მამაშენმა მითხრა, კოტე მივსცეთ იმის ალაგას. მე ძალიან მეწყინა, შენ ყოველთვის ამას გეუბნები, არ მინდა აქ გაზდილი, უნინ სხვა დრო და ოსტატები იყვნენ, ეხლა სხვანი არიან, არც უნინდელივით ოსტატი ცდილობს, არც დერეხტორი. კოტემაც რომ გაიგონა, ძალიან ეწყინა, აქ არ მინდა სწავლა, მეც უნდა კორპუსში წავიდე. მე გამოსაცდელათ დაუყვავე და

უთხარი, აქ უფრო არა სჯობია, ყოველ კვირა ჩვენთან იქნები. არ მინდა, შარლატანი გამოვიდეთ. შენ რა იცი, შარლატანი რა არის. მითხრა, ქუჩაში რომ დადიან, განა არა ვხედავ, როგორც შარლატანებენ, არა სწავლობენ, გიჟობით მოდიან. ესეც ვეცადე და გავაგზავნი.

ახლა ბაბაღე მინდა ინსტიტუტში მივსცე. ეს ყმანვილიც სწუხს, რომ შეძლება არა გაქვთ და ვაი თუ ბალდროეკა არ ამამივიდეს და დავრჩე უსწავლელი. ნამესნიკი იმ წელიწადს პეტერბურგში წაბძანდა, გრიგოლ ორბელიანს ორი ქართველი ქალის ვაკანცია მისცა, ვინც გასურდეს, ის აიყვანეთ. ახლა ერთი ბიძა მყავდა გაბაშვილი, დავიბარე ის და გრიგოლის ძმასთან გავგზავნე. ისინი სიყრმით მეგობრები იყვნენ. ის წავიდა და ყველას უთხრა ჩვენი გარემოება, თუმცა იცოდა, რომ ბევრი შვილები მყვანდა და არ შემეძლო ჩემის ხარჯით გამეზარდა. იმ ორბელიანმა მაშინვე თავის ძმა ნახა და უთხრა, ჩემო ძმაო, მაგისთანა ალაგი გიჭირამს და აბა, თუ შენის ოჯახის კეთილის მსურველი და გაჭირების დროს შემწე მოიგონო და შენც გაჭირებაში შეენიო. არ ვიცი, იაკინტემ რა სიკეთე გიყო, რომ იმას მაშინვე კარგი ალაგი მიეცი. ერთის სიტყვით, ბევრი უსაყვედურა. ბოლოს უთხრა, შე გიჟო, რო გსურს, რომ შეგისრულო, აი, იოსებ მამაცაშვილს თორმეტი შვილი ჰყავს, ექვსი ქალი და ერთი შინა ჰყავს და ვერსად მიუცია, რომ შეძლება არა აქვს. ხომ იცი, ჩვენს გაჭირების დავაში ის შეგვეწია და ახლა შენ გაქვს შემთხვევა და შენ იმით გადუხადე, იმის ერ-



*გრიგოლ ორბელიანი  
1850-იანი წლები*

თი ქალი აიყვანე იმ ვაკანციაში. კარგი, ავიყვან. არა, ეხლავ მოიტანე ქალალდი და ჩანერე, რომ მიიღე იმის ქალი, ისე არ დაგიჯერებ. მოიტანა ქალალდი და ჩანერა, რომ მიიღო. მასუკან ეთქვა ჩემის ბიძისათვის, მისწერე წინოს წიგნი, რომ აიყვანა გრიგოლმა და ნუსნუხარ, მამილოცამს. ეს წიგნი რომ მივიღე, რასაკურველია, დიდათ ვისიამოვნე, ბაბაღესაც ვახარე და შევედი, იოსებს ვაჩვენე ეს წიგნი, წაიკითხე. რომ წაიკითხა, დიდათ გაუკვირდა და ისიამოვნა, ეს როგორ





დიმიტრი მამაცაშვილი  
პეტერბურგი, 1870-იანი წლები  
ფოტოგრაფი: იური შტეინბერგ

მოახერხე. აი, ეგრე, შენ შვილებისათვის არ გცალიან, ზოგს კეთილს საქმეში ხარ, ზოგჯერ ქეიფში.

ახლა ელენე მყავს საფიქრებელი და გიორგი. გიორგი მამას არ უნდოდა, რომ გაეგზავნა კორპუსში. ის ანბობდა, ზაქარია, ქრისტეფორე რომ ანგრანომათ გავიზარდოთო. მე არა მსურდა ამისათვის, რომ კურსდასრულებული მისულიყო, იმას თავის აზრზე არ ამოქმედებდნენ და სოფელში იმის მარტო ყოფნა არ

შეიძლება. რაც უფროსი ხალხი დაიხოცნენ და ახალი ხალხი მოესხა რუისს, ვხედამდი, ლოთობას და გარყვნილობის მეტი არა იყო რა. რომ მეტათ გამაბეზრეს, მივეცი ნება, ჯერ ლოჭინში გაგზავნეს, მერე იალტაში. მაგრამ ქალაქშივე რიგი ან ალაგი არ მისცეს, ხან საით მიაგდეს და ხან საით. მოვიდა იალტიდამ და დარჩა აქა. მამა რომ მოუკვდა, მანამ არა მნახა, ასე ეგონა, მეც აღარა ვარ. მაინც კიდევ გავგზავნე ორი წელიწადი. ჩამოვიდა. ახლა მე უთხარ ჩემს შვილებს, აბა, ახლა რას უპირებთ. სოფელში გავგზავნოთო. მე უარი უთხარ, უპატრონოთ თექვესმეტის წლის ყმანვილს მარტო არ გავგზავნი, იქაური ხალხი აიყოლიებენ და გაფუჭდება. აქ სადმე მივცეთ უჯამაგროთ, მამა შენთან ნამსახურნი ბევრნი არიან და კარგნი მცნობნი. ვისაცა სთხოვთ, ყველა პატივსა გცემთ და მიიღებენ. არც ერთმა არ ითავეს და ისევ სოფელი არჩიეს და გაგზავნეს სოფელში.

ახლა ელენესათვის ვწუხვარ. კანდიდატათ ავაყვანინე, მერე გაზაფხულზედ რომ მივდიოდით, ნაჩალნიცა ვნახე, ჟულჩინსკის ცოლი, წინა ნაჩალნიცას ქალი იყო მაშინ და ვსთხოვე, ჩვენ უნდა წავიდეთ გორს, რადგანაც ბატონყმობის საქმის გასარჩევათ გზავნიან, ეს ქალი ჩემის ხარჯით არის აყვანილი და ამ ზაფხულს კოჯორში წაიყვანეთ და იმ სამისთვის ხარჯს მოგართმევთ. ნაჩალნიცამ უარი მითხრა, თუმცა თქვენი პატივის ცემა მაქვსო, მარამ მერე სხვანიც მოინდომებენო, სტარში კლასის დამას დაუძახა და ჩემთან აჩვენა



*ელენე მამაცაშვილი-ციციშვილი  
თბილისი, 1870-იანი წლები  
ფოტოგრაფი: არტემ შახბაზიან*

ქალაქი, რომ ეს მეთვრამეტე არის და უნდა მიიღო-  
ვო, მე ზაგრანიცას მივდივარო და იქნება, იმ დროს მე  
აქ არ ვიყო. ის წავიდა, ჩვენც წავედით გორს.

დანიშნულს დროს ჩამოვედი და ნაჩაღნიცა არ მო-  
სულიყო. დარჩა ბურთი და მეიდანის ორს სომეხს, ესე  
იგი ისაკ თუმანოვს და გასპაროვს. იმათ სხვა აეყვა-  
ნათ და მე უარი მითხრეს, ჩემს ბედზედ არ იყვნენ  
ის ჩვენები, დაბაზედ იყვნენ. დოკუმენტები უკან უნ-

დოდათ რომ მოეცათ. მე არ მივიღე. ისაკმა მითხრა, თქვენის ქალისთვის აღარ არის ალაგი, ოთხი გაიზარდნენ, მეტი რა გინდა. თუკი ყორღანოვის ქალები ხუთნი გაიზარდნენ, ჩემი რატომ არ გაიზდება, რომელიც ჩემა ქალებმა მისცეს ყველასაში კარგის სწავლის მაგალითი. ხელსაქმეში, მხატრობაში რომ განსხვავდნენ, ლურჯი ბანტიც იმ დროს არა ქონდათ, როდესაც სამაგალითოთ დაიჭირა ეგზამენია, კრინპერის ცოლმა – ნაჩაღნიცამ მოახსენა კნეინას ვარანცოვის ცოლს, რითი დავაჯილდოვოთ მამაცოვის ქალი. მაშინ ის ათის წლისა იყო, რომ ამისთანათ განსხვავდა. იმ დროს იქ ყოფილიყო დოხტური ანდრიევცკი. კნეინას ებძანებინა, რომ ლურჯი ბანტი მიეცო, ისე განასხვავეო და პირველმა ქალმა მიიღო პახვალნი კნილა შექსპირის, მეორემ – პირველი შიფრი, მესამემაც – შიფრი, მეოთხემ – მედალი ოქროს. მე უთხარი, თუ არ არის ჩემის ქალისათვის ალაგი, გაჩვენებ.

მოვედი შინ შეწუხებული. მკითხა ჩემა ქალმა, დედა, როდის წამიყვან ინსიტუტში. მე უთხარ, ნაჩაღნიცა არ მისულა ჯერა და ქალებიც კოჯორზედ არიან. ასე მოვატყუე. მეორეს დღეს ნაჩაღნიცა მოვიდა ზაგრანიციდამ, ვნახე, მითხრა, წუხელის ერთი ქალი მოკვდა, იმის ალაგას მივიღებ და დღეს და ხვალ ხომ არა იქნება რა და ზეგ მობძანდო და მოგახსენებთო, მივიღებო. მივედი მესამეს დღეს და მითხრა, რომ არ არის, კვირის წინ სხვა დაუნიშნამთ. ახლა რა ვქნა, რას მიჩვენო, მე უთქვენოთ შტაცდამაც ვნახე, რომ კნეინასთან შემ-

წეობა ეხმარა. იმან გემნაზია მირჩია, ახალი გახსნილი იყო მაშინ და ის ნაჩაღნიცათ იყო, იმას ებარა იქაურობა, აი, იქ ნაკლები ფასია.

მე მოვახსენე ჩემს ქმარს. ახალი სამსახური მიანდეს გორის უეზდისა და ჩვენ იქა ვართ. მე ძველი ქალი გახლავართ, ძველებურათ გაზდილი და თორმეტის წლის ქალს ვერავის ვანდობ, რომ წაიყვანონ და მაიყვანონ და იმისათვის ვერ მივცემ გემნაზიაში. ინსიტუტში დები კიდევ ჰყვანან და კლასნი დამებიც ნაცნობები არიან და უჩიტლებიც, მერე მითხრა ნაჩაღნიცამ, წადი და ბარონ ნიკოლაი ნახე და სთხოვე, იმას ის აიყვანს, იმას შეუძლიან. წავედი ბარონთან, ვნახე ბარონი, მოვახსენე, ჩემი ქალი აყვანილი გახლდათ ინსიტუტში ჩემს ხარჯზედ, მეთვრამეტე იყო. თავის მოალაგეს აჩვენა ჩემთან, ვინიცობა მე დამიგვიანდეს, შენ იცოდე, რომ უნდა მიიღო. ახლა უარს მეუწებთან ისაკ თუმანოვი და გასპაროვი, ათის დღით წლოვანობა მეტი აქვსო. ჩემი ბედი ეს იყო, რომ არც თქვენა ბძანდებოდით, არც ქრისტინიჩი, არც მინკელცი. ახლა იმედი ჰქონდა ნაჩაღნიცას, რომელიც ქალაქს ამ ორის დღის წინ მოვიდა, იმის ალაგს აიყვანდა. ისაკ თუმანოვს სხვა დაუნიშნამს. ეს ერთი თვეა აქ გახლავართ, ჩემი ქმარი – გორს თქვენის მინდობილის საქმისათვის. რვა დღეა წიგნი მივწერე და პასუხი არ მიმიღია, იქაც ხალერა არის და მეშინიან, აქაც ეს ქალი ნაღვლობს, რატომ არ წამიყვან. მე შიშით ვერ ვეუბნები დაბრკოლებას, რომ უფრო არ ინაღვლოს. მიბძანა, ნუ



ბარონ ალექსანდრ ნიკოლაი  
ტფილისი, 1860-იანი წლები  
ფოტოგრაფი: ედუარდ ვესტლი

სწუხარ, მოვიკითხამ საქმეს, იმათ ვინა ჰკითხამს, ათი დღეა თუ მეტი, ხვალ მობძანდით და პასუხს მიიღებთ. მე წამოვედი. გაეგზავნა და მოეკითხა საქმე ქრისტიანიჩისათვის, გაეკეთებინა არზა ნამესნიკთან, გრიგოლ ორბელიანოვისათვისაც ხელი მოეწერებინა და ჩემთანაც გამოეგზავნა ხელის მოსაწერათ. თითონ მთავრობა ნამესნიკს და პირათაცა სთხოვა, რომ ბევრი შვილები ჰყავს და შეძლება არა აქვს, რომ შინ გაზარდოს.

ღმერთმა უშველოს არლოვსკის, ისიც წამდგარიყო და მოეხსენებინა, თვრამეტი შვილი ჰყავსო. მეორეს დღეს მამივიდა ქალაღდი, თქვენი ქალი მოიყვანეთ, მიღებუღია. ეს ასე გავათავე შვილების საქმე.

ახლა ეს მანუხებეს, რომ მაგის ხელქვეითები დანინაურდნენ, ჯიღდოები მიიღეს და ეს კი ასეა, ვალიც ცალკე მანუხებდა. ახლა ამას ვეუბნები, წადი და ბარონი ნახე, შენი ნამსახურობა უამბე, რომელიც სამსახურს გარდა საკუთარი მონდობილება გქონდა და სწრაფათ კარგათ შეგისრულებია და იმის სამაგიერო ჯიღდო არ მიგიღია. მთელი რვა წელიწადი თუ ნაკლები ველაპარაკე და ვერ გავაბედვინე. ვეტყოდი ხოლმე, შენ ხომ ისე არ გიცნობს ბარონი როგორც ჩინოვნიკს, გარეშე პირს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი ჰყვანდა ბარონს და მე ნათლული ვიყავ ჭავჭავაძისა, იმის გამოთ დაახლოებული ცნობა ჰქონდა. მაინც ვერ გავაბედვინე. მე რომ ელენეს საქმე გავათავე და ქალაღდი მამივიდა ხელის მოსაწერათ, იმ დღეს მოვიდა მამათქვენიც გორიღამ. მერე მე უთხარ, ლუბერნატორთან რომ ნახვიღდე, ასე უთხარ, ეს საქმე იმისთვის გაუბედნია ჩემს ცოლს და უთხოვნია ბარონისათვის, რადგან დაახლოებული ცნობა ჰქონდა, მანამ ცოლი ცოცხალი ჰყვანდა, ნათესავათ იყო მიღებული, რადგანაც იმის მამის ნათლული იყო, რომ იმას არ ეწყინოს, რომ ჯერ იმას არა ვთხოვე. რომ ნახა ლუბერნატორი და მოვიდა შინ, მაშინვე მითხრა, შენი დარიგება დამავინყდა, სხვადასხვას საქმეს მკითხამდა და გავერთენით.



სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაი  
1850-იანი წლები

მამა შენს ეს ჩვეულებაც ჰქონდა, როცა სურიაზნი საქმე ჰქონდა, სასენატო ანუ სხვა, დასწერდა შავს და მეტყოდა, აბა, ყური დამიგდე, ამას წაგიკითხამ და რაც შესაფერათ არ იყოს, მითხარი. ასე წაიკითხამდა, ქართული დაწერილი გეგონებოდა, ბევრს გავასწორებინებდი ხოლმე. ისე ღმერთმა ჩემს სულს მისცეს კეთილი, როგორც მე, ამას მართლა ჩემი დარიგება ყოველთვის კარგათ ჰქონდა დაცდილი. ახლა რომ ვერ გავგზავნე ბარონთან მე წავედი ჩუმათ და ვნახე ბარონი.



მოვახსენე, გთხოვთ, ნება მიბოძოთ ჩემის გარემოების მოხსენებისა, თქვენ დღეს საქართველოს მამა ბძანდებით მართლმსაჯულებისა და აგრეთვე ჩვენი. მიბძანა, ბძანეთ, რაც გსურთო. მოვახსენე, თქვენ უწყით, რაც ჯამაგირი აქვს ჩემს ქმარს, რამდენიც შვილები მყავს გამოსაზრდელნი, სახლი მიჭირავს ქირით ხუთი ოთახი ორმოცს თუმნათ, მზარეული – თვეში თუმნათ, დედაკაცი – შვიდი მანეთი, ბიჭი – ხუთ მანეთათ, ახლა აქ რაღა დამრჩება ცხოვრებისა. მართალია, პურს არა ვყიდულობ, დანარჩენს სოფლის მოსავალს. ვალი დამედო, ქალი გავათხოვე მცირეს მზითვით. იმის ვალის სარგებელს ძლივს ვაძლევ, ზოგჯერ ხუთასი თუმანი ლამის შესრულდეს ჩემი ვალი. ჩემი ქმარი თქვენის და ლუბერნატორის ბძანებით წავიდა გორის უეზდში, პირველად ოსებმა რომ უბუნტეს ერისთვიანთ და მარჩაბლებს. ლუბერნატორმა უბძანა, ერთი როტა სალდათი წაიყვანეო. იმან მოახსენა, არ მინდა ერთი როტა სალდათი, სამი ჩაფარი მიბოძეთო. ის საქმეც მოგეხსენებათ, როგორც მშვიდობით გაათავა. მერე შეიქნა ომი იმერეთში, აგრეთვე სხვა ალაგებში. შემოაკლდა ჯარს პური. კინალამ ჯარი გადავიდა მტრისაკენ შიმშილის გამო. გუბერნატორმა გორის ნაჩალნიკს მისწერა, რომ ხუთასი ურემი შეაგროოს და გაგზავნოს იმერეთში ქირით. მოვიდა იქიდან პასუხი, რომ ვერ ვიშოვნე ქირით ურმები, არავინ მიდის და გთხოვთ, მანდედამ ჩინოვნიკი მამაშველოთ, რო ვიშოვნო ურმები და გაგზავნო. არც ერთი სოვეტნიკი არ წავიდა, ყველამ უთხრა,



იოსებ მამაცაშვილი  
ტფილისი, 1860-იანი წლები  
ფოტოგრაფი: არტემ შახბაზიან

მამაცოვის მეტი ვერ შეიძლება მაგის შესრულებას, ის გაგზავნა ლუბერნატორმა და სთხოვა, იქნება ამ ორს კვირაზედ მოამზადო და გაგზავნო პურიო, თორემ საქმე გიჭირსთ. ნავიდა, რვას დღეზედ შაასრულა ხუთასი ურემი, პური გაგზავნა და აცნობა გუბერნატორს. რომ მიიღო ეს ცნობა, მისწერა, რომ აქედამაც წააღებინოს პურები. კიდევ ხუთასი ურემი გამოგზავნა და წააღებინა გორს პურები. ახლა ამის ჯილდოთ რა მიეცა,

ბრონძოვი მედალი. ჩვენმა დენშიკმაც მიიღო იმისთანა მედალი, რადგან ომში იყო. ეს სამსახური უფრო მეტია, თუ იმის ერთი თოფის სროლა. გთხოვთ, ახლა თქვენ იფიქროთ და ნუგეში მცეთ.

ვილასაც მოეხსენებია ნამესნიკისათვის, რომ მითომ ჩვენია რუისი. პირველათ რომ ნახა, მოსწონებოდა, კარგი სოფელიაო. ეთქვათ, მამაცოვებისა არისო. ეს სიტყვა ელიზბარ ერისთავს ეთქო, მაგრამ არ მოვიხსენე, მითომ არ ვიცი, მერე მიპასუხა, მაშ, თქვენი არ არის. მე მოვახსენე, რუისი რომ ჩვენი იყოს, ჩემს მოხუცებულს და სნეულს ქმარს რაღათ დავაყენებ ამისთანას მოუსვენებელს ცხოვრებაში. ჯერ ეს უნდა მოვახსენოთ, 30 კომლი მამაცანი არიან რუისში. გაკვირვებით მიპასუხა, ისინი სადღა ცხოვრებენ. ისევ რუისში, ძალიან მცირეს მამულით როგორც გლახკაცი ისე მუშაობენ. ამ სამს ძმას სამოცი დესეტინა აქვსთ. ამათი მამა ასე ჭკვიანი კაცი ყოფილა, დაუზდია ეს სამნივე შვილები, რომ დღეს გამოჩინებულნი კაცნი არიან. ახლა მოვყევი და უანბე რამდენი გვარნი აზნაურები არიან რუისში, აგრეთვე საეკლესიო კაცნი მამულებით, აგრეთვე ბაგრატიონებისა და ჩვენ რაღა გვექნება იქ. ჩვენ თქვენი გვეგონაო. მერე მიბძანა, კარგიო, ვეცდები, თქვენი თხოვნა აღვასრულოო. შემდგომ დაებარებინა ლუბერნატორი და ეთქვა, რაც გორის უეზდში სახემწიფო მამულია რუისს მახლობლათ, ამინერე და წარმამიდგინე. წარუდგინა ძალიან მახლობლათ. ებძანებინა, ეგ არ შეიძლებაო, ეგ ეხლა გლახკაცებს უნდა



*ელიზბარ ერისთავი  
1860-იანი წლები*

დაურიგოთო, რომელნიც მეზატონებისაგან განთავისუფლდებიანო. მერე წარადგინა მთავრობასთან ყველა სამსახურის საქმე და სილარიბე.

სამს თვეზედ უფრო ადრე მოგვივიდა საჩუქრის ქაღალდი, ათას ოთხას ორმოცი დესეტინა სტავროპოლში კარგს ალაგას. იმ დროს მამაშენი ავათ იყო. მაშინ მე უთხარი, გავყიდი და ამ ორს ქალს სამას-სამას მივცემ. ორი მყვანდა – ბაბაღე და დარიკო. იმან



*ნატო ციციშვილი, ქრისტეფორე მამაცაშვილი,  
იოსებ ციციშვილი, საშა ციციშვილი,  
ელენე მამაცაშვილი-ციციშვილი*

შემამიტია, სამასებს რომ მაგათ აძლევ, მერე შენ რა-  
ლა გრჩება. მე უთხარ პასუხი, ორას ფულათ ვაძლევ,  
ასსაც გარდირობისათვის. მე ის ჯანი აღარა მაქვს,  
რომ ვიარო მზითვის სასყიდლათ და იაფათ დავისო.

მერე მითხრა, შენი ნება, რაც გინდა, ისე აასრულე. მე ვხედავდი, რომ პირიქით მიდიოდა იმის სიცოცხლე, თუ იმის სიცოცხლეში მეხარბებოდნენ იმისათვის, რომ იმისი მამობა და პატრონობა უნდოდათ, შემდგომ გამიჭირდებოდა, ველარც ისე სახლს გაეხსნიდი, რომ ევლოთ და დაახლოვებით გაეცნოთ ქალები ან ჩვენ გაგვეცნო ვინმე.

შემდგომ რამდენიმეს ხანში გარდიცვალა. როგორც წესი იყო და ღირსება, ისე დავასაფლავეთ თავის მამულში. როდისაც ექიმები შევეყარე და გაშინჯეს, მეორეს ოთახში უთხრეს შვილებს, რამდენის წლისა იქნებაო. უთხრეს, სამოცდაექვსისა სრულდებაო. დიდათ გაიკვირვეს, რომ ამდენი ხანი უცოცხლია. მას ეს სენი სიყმაწვილით ჰქონია და როგორ შეგინახამთ, რომ ამდენი იცოცხლა. ეგ წელებს ესხა წვრილი მუნუკები, ახლა ჩამოსულა უკანას წელში გასავალში და ბევრს ველარ იცოცხლებს. მერე სკოროვს ეთქვა, მე იმედი-სასთვის ვივლი და თქვენ დედას გაუფთხილდით, რომ არ გადინყვიტოს იმედი და ისევ იმხნეოს. მე ასე უფთხილდებოდი, რაც უნდა მნუხარება მქონოდა, ვერ ვეტყვოდი. გულსწრაფი კაცი იყო, არ დამასრულებინებდა, გაანჩხლდებოდა და ავით გახდებოდა. დავსწერდი და წიგნს კაბინეტში სტოლზედ დაუდებდი, დილით რომ ადგებოდა, ნახამდა, წაიკითხამდა და სიცილით შემოვიდოდა, ამას პირდაპირ ვერ მეტყვოდი. შენ გულსწრაფი კაცი ხარ, შეჰყვირებ, არ დამაცლი დაბოლოებას და მოსამსახურეს ჩხუბი ეგონება. მეო-

რეც ეს, ყმანვილებმა ჩხუბი არ ისწავლონ, სიამოვნების ცხოვრება ნახონ. იმისათვის იცოცხლა იმდენი ხანი იმისთანა სნეულმა, ორის და სამის დღით რომ წასულიყო სადმე, წამლები და ყავადანი თან უნდა გამეყოლებინა, იცოდნენ იმ მოსამსახურებმაც, მე უფრო რუსებთანა მქონდა მეგობრობა.

ზანს. იქ ასწავლიდნენ ნინოსაც და მის ტოლ-ამხანაგს ქალებსაც წერაკითხვას, ლოცვებს და ღვთის-სიყვარულს. სხვა-და-სხვა ხელ-საქმესა და ქრაკერვას ტყვევასა და ზრდილობას. უკვე დღეს შემდეგ მისულ შევირდებს ოსტატი მულოზანი ხშირად უზომადეა ტუწებს ბამბის ძაფით, ბეფრი ხომ არ გილავარაკნათო, ფუხებსაც—ბეფრი ხომ არ გიეშაქნათო, თითებსა და ფრჩხილებს, ნეესი და ძაფი, ან ხილი რამ ხომ არ მოგიაპარათო.

17 წლისა ნინო მიახზოვებს იოსებ ქრისტეფორეს ქეს მამაცაველის. მეორე ყმაწვილი რომ მიეცა, იოსები გაჰხაზავს მთავრობამ რუსეთში დასასტელოდ, იმასთან ერთად ექსორაკნელი იყენენ; გრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, რაზმავე, სოლომონ ლოდაშვილი, დამ. ყუფიანი და სხვ.

ქმრის დამარტუნების შემდეგ, ნინოს მიეცა და აღზარდა ნ ვატიშვილი და შვილი ქალი. ამათში მხოლოდ ერთი მოუკვდა პატარაობისასვე უძეძურობით. ხოლო დანარჩენნი ყველანი თავის ძუძუთი აღზარდა და ყველას ბედნიერმა დედ-მამამ მისცა შესაფერი სწავლა-განათლება და ყველანი შესაფერადვე დაბინავდა; რადგან მისმა მეღვრემ შემდეგ რუსეთიდან დაბრუნებისა თავი იჩინა საშახურში და დესტიტუტელნი სტატეკი სოვეტნიკობა მიიღო, უძებნება ნებს ამღვედა ცოლ-ქმარს შვილები არკად აღეზარდათ. დღეს ამ დედ-მამის შთამომავლობა—შვილები და შვილიშვილები 70 სულამდეა.

იოსებ ქრისტეფორეს ძე გარდაიცვალა 1874 წელს და ამ გარემოებამ დიდს მწუხარებაში ჩააგდო ნინო, რომელსაც შემადე კიდევ ეწვია უბედურება—ერთს ომში მოუკლეს შვილი დიმიტრი, პოდოლოკოენიკი არტილერიისა.

ნინო კონსტანტინეს ასული იყო ნამდვილი ტბი ძველებურის ქართველის დედისა; ქართველის ღვთისმშობლისა და მოსივის მანდილოსნისა.

სა. ოჯახში გამუდმებული შრომა და ჯავა, ქმარ-შვილის მოვლა, ღვთისლოცვა და ქართული საერთა და საღვთის-მეტველო წიგნების კითხვა—აი რა იყო მისი უბოძევე ი და უბოძევესი საქმე. უკანასკნელ დღემდე ნინო არკად ჰკრძობდა თვის და მზედევლობაც მშვენიერი ჰქონდა.

შობა დღეს ღამა მოხუცია, 82 წლის მანდილოსანი, წირვის მოსამუნებად აწმისხატის ტაძარში წაივინდა, რადგანაც ქართულის წარვა-ლოცვის მოსმენა უცვარდა, იქ გაიკვდა და 12 იანვარს მიიკვალა ისე მშვიდად, რომ არც-კი სჯეროდათ მახლობელი მოსი მოკვალება.

შვილებმა დიდის ამბით წაასვენეს თავისი მოხუცი დედა თავიანთ მამა-პაპულს მამულში, სოფ. რუისს და იქ დასაფლავეს თავის მეუღლის გვერდით თავი ნინოსაგან აშენებულს ნიშში, სცა თვისი სამარხიც წინადვე ჰქონდა დამზადებული.

მიცვილებულის საფლავზედ რამდენიმე სტეცა წარმოითქვა. სტეცა სტეცა დეკანოზმა მამა მქანარიშვილმა და რუისის სოფლის მასწავლებელმა ე. ბიბილაშვილმა. ორატორთ განმარტეს ცხოვრება განსვენებულის ნინოსი და აღნიშნეს მისი ღვაწლი, როგორც საუკეთესო დედისა და ის თვისებანი ხასიითისა, ის ღობოიერება და სათანობე, რომელითაც იყო შემკული ნინო კონსტანტინეს ასული.

შვიდი ახლო-მახლო სოფელი დესწრო მიცვილებულის დასაფლავებას. უფრო-კი სწუხდა რუისის მღაბიო ხალხი და ქრეი-ობლები, რომელთაც დიდს შეწევასს აძლევდა განსვენებულნი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატრონსაო ქართველო მანდილოსანო!

† ნინო კონსტანტინეს ასული მამაცაშვილისა.


12 იანვარს გარდაიცვალა ტფილისში ღამა მოხუცებული, ძველებური ქართველი მანდილოსანი, მეუღლე გვერდლის იოსებ მამაცაშვილისა ნინო კონსტანტინეს ასული. განსვენებული ნინო დაიბადა სოფელ ხიდისთავს და იყო ასული კონსტანტინე მეღვინეთ-ხუტესისა, რომელსაც ჰქონდა ძველებური ქართული ოჯახი. მონათლულ იქნა ნინო ჩვენის პატრის თ. ალიქსანდრე ჭეჭკავაძის მიერ. ნინომ გამოიარა ჰვენებური—ძველებური სკოლა, რომელიც განმართული ჰქონდა ტფილისში, მთაწმინდას, ფორაკანთ მოლო-

ნინო მეღვინეთხუტესისშვილი-მამაცაშვილის ნეკროლოგი გაზეთი „ივერია“, №19, 26 ივნისი, 1894 წელი




გელკინეთუსუცესები

წინამძღვრიშვილები



გენეალოგიური ხე შეადგინა  
 ნინო მელვინეთხუცესიშვილის  
 შვილთაშვილმა –  
 ნუნუ საგინაშვილმა

## მამაცნაშვილები



## პირთა საძიებელი

**აბაშიძე ლევან** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ნათესავი (გედევან ანანიაშვილის სიძე) – გვ. 33.

**ავალიშვილი გიორგი** (1769–1850) – მწერალი, მთარგმნელი, მოგზაური, პოლიტიკური მოღვაწე – გვ. 9.

**ავალიშვილი-ჭავჭავაძე მარიამ (მაია)** (1758–1836) – რუსეთში ერეკლე II-ის ელჩის – გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე, ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა – გვ. 9.

**ალექსი-მესხიშვილი იაკინთე** (1805–1878) – ტიტულიანი მრჩეველი – გვ. 70.

**ამაშუკელი-მამაცაშვილი ელისაბედ** (†1850) – იოსებ მამაცაშვილის დედა – გვ. 37, 47, 48, 49.

**ანანიაშვილი (ანანიევი) გედევან** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ნათესავი – გვ. 33.

**ანდრეევსკი ერასტი** (1809–1972) – ექიმი – გვ. 75.

**ანდრონიკაშვილი** – კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილის დეიდა – გვ. 27, 28.

**ანდრონიკაშვილი** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის პაპა (ბეზიის მამა), მცხეთის დეკანოზი, ერეკლე II-ის მოძღვარი – გვ. 8.

**ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვა)** (†1821) – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ბებია (მამის დედა) – გვ. 6, 8, 9.

**არლოვსკი** – სასწავლო ოლქის მოხელე – გვ. 78.

**ალა-მაჰმად-ხანი** (1742–1797) – ირანის გამგებელი (1794–1796), შაჰი (1796–1797); საქართველოში ლაშქრობისას (1795, კრწანისის ბრძოლა) დაარბია თბილისი – გვ. 12.

**ბაგრატიონები** – გვ. 82.

**ბაგრატიონი-ავალიშვილი ელისაბედ** (†1863) – გიორგი ავალიშვილის მეუღლე – გვ. 9.

**ბარიატინსკი ალექსანდრ** (1815-1879) – რუსი ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი (1856–1862) – გვ. 70, 77, 78, 82.

**ბებუთოვი ვასილ** (1789–1858) – ინფანტერიის გენერალი, ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსი (1847–1853) – გვ. 62.

**ბრანიცკაია-ვორონცოვა ელიზაბეტა** (1792–1880) – კავკასიის მეფისნაცვლის – მიხაილ ვორონცოვის მეუღლე, ქალთა სასწავლებლების საპატიო მზრუნველი – გვ. 60, 61, 75, 76.

**გაბაშვილი** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ბიძა – გვ. 70, 71.

**გასპაროვ** – გვ. 75, 76, 77.

**გრიბოდოვა-პასკევიჩ ელიზაბეტა** (1782–1856) – საქართველოს მთავარმართველის – ივან პასკევიჩის მეუღლე – გვ. 14, 15.

**გრიგოლ ეპისკოპოსი (დადიანი ალექსანდრე)** (1836–1907) – გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – გვ. 66, 67.

**დავით ბატონიშვილი (ბაგრატიონი)** (1819-1888) – ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟი, გიორგი XII-ის შვილიშვილი, 1832 წლის შეთქმულების წევრი – გვ. 43.

**ერეკლე II (ბაგრატიონი)** (1720–1798) – კახეთის (1744–1762), ქართლ-კახეთის (1762–1798) მეფე – გვ. 6, 7, 8.

**ერისთავები** – გვ. 80.

**ერისთავი** – ფლიგელ-ადიუტანტი, მამაცაშვილების მეზობელი გორში – გვ. 38, 55.

**ერისთავი გიორგი (გლუხარიჩი)** (1813–1864) – დრამატურგი, პოეტი, თეატალური მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების წევრი, ვილნოში გადასახლებული (1834–1838), ქართული თეატრისა (1850) და ჟურნალის „ცისკარი“ (1852) დამაარსებელი – გვ. 39.

**ერისთავი ელიზბარ** (1810–1872) – საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, ფინეთში გადასახლებული (1833–1845), გენერალ-მაიორი – გვ. 82.

**ერისთავი-ორბელიანი მანანა** (1808–1870) – 1832 წლის შეთქმულების წევრი, შეთქმულების გაცემის შემდეგ მკაცრი პოლიტიკური მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი – გვ. 43.

**ერმოლოვ ალექსეი** (1777–1861) – რუსი ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი (1816–1826) – გვ. 8.

**ვიატკის გუბერნატორი** – გვ. 50, 51.

**ვორონცოვ მიხაილ** (1782–1856) – რუსი გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი (1844–1854) – გვ. 61.

**ზედგინიძე** – ბოქაული, მეღვინეთხუცისიშვილების ნათესავი – გვ. 41, 46.

**ზუბალაშვილები** – მამაცაშვილების მეზობლები გორში – გვ. 55.

**თამარ მეფე (ბაგრატიონი)** (1160–1213) – საქართველოს მეფე (1179–1213) – გვ. 6.

**თუმანიშვილი (თუმანოვი) იასე** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ნათესავი, გედევან ანანიაშვილის სიძე – გვ. 33.

**თუმანიშვილი (თუმანოვი) ისააკ** (1803–1880) – გენერალ-ლეიტენანტი, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი – გვ. 75, 76, 77.

**თურქისტანიშვილი (თურქისტანოვი) სოლომონ** – იოსებ მამაცაშვილის მეგობარი – გვ. 27, 28, 29, 30, 38.

**თურქისტანიშვილი (თურქისტანოვა)** – სოლომონ თურქისტანიშვილის დედა – გვ. 28, 29, 30, 38.

**კაზლეინოვ** – არტილერიის უფროსი – გვ. 53.

**კახანოვ ვასილი** (1816–1871 წლის შემდეგ) – რუსი ინჟინერი, სიმონ კახანოვის შვილი – გვ. 60.

**კახანოვა მარია** (1817–?) – სიმონ კახანოვის ქალიშვილი, მამრიამ (მამო) მამაცაშვილის ნათლია – გვ. 60.

**კახანოვ სიმონ** (1787–1857) – რუსი გენერალი, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი (1839–1841) – გვ. 55, 58, 60.

**კახანოვა** – სიმონ კახანოვის მეუღლე – გვ. 60.

**კახანოვსკი** – სასამართლოს მდივანი – გვ. 58, 59.

**კახანოვსკის მეუღლე** – გვ. 59, 60.

**კოშორიძე** – კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილის მოძღვარი – გვ. 35, 36.

**კრინჰერის მეუღლე** – ქალთა სასწავლებლის უფროსი – გვ. 75, 76,

**კუტუზოვ მიხაილ (1745–1813)** – რუსი გენერალ-ფელდმარშალი, მხედართმთავარი – გვ. 8.

**მაგილევსკაია-ერისთავი** – მამაცაშვილების მეზობელი გორში – გვ. 55.

**მაკაროვის დედა** – გვ. 38.

**მამაცაშვილი ანეტა (ანიკო) (1836/1837–1911)** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ქალიშვილი, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მეუღლე – გვ. 53, 55, 58, 59, 60, 75.

**მამაცაშვილი ბარბარე (ბაბაღე)** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ქალიშვილი, გაბრიელ ღვინიაშვილის მეუღლე – გვ. 65, 68, 70, 71, 72, 75, 84.

**მამაცაშვილი გიორგი (†1918 წლის შემდეგ)** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის შვილი – გვ. 72.

**მამაცაშვილი დარეჯან (დარიკო)** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ქალიშვილი, პოეტი, ჯაფარიძის მეუღლე – გვ. 68, 75, 84.

**მამაცაშვილი დიმიტრი (†1880)** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის შვილი, პოდპოლკოვნიკი – გვ. 5, 68, 69.

**მამაცაშვილი დიმიტრი (†1848)** – იოსებ მამაცაშვილის ბიძა – გვ. 48, 53.

**მამაცაშვილი დიმიტრის მეუღლე** – იოსებ მამაცაშვილის ბიცოლა – გვ. 46, 48, 50.

**მამაცაშვილი დიმიტრის შვილები** – იოსებ მამაცაშვილის ბიძაშვილები გვ. 48, 49.

**მამაცაშვილი ეკატერინე** (1817–?) – იოსებ მამაცაშვილის და, დავით მაჭავარიანის მეუღლე – გვ. 53.

**მამაცაშვილი ელენე** (1853–1932) – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ქალიშვილი, დავით ციციშვილის მეუღლე – გვ. 68, 72, 73, 74, 75, 76, 78.

**მამაცაშვილი ელენე** (1813–?) – იოსებ მამაცაშვილის და, ივანე მუსხელიშვილის მეუღლე – გვ. 34.

**მამაცაშვილი ელისაბედ (ლიზა)** (†1943) – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ქალიშვილი, გენერალ ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლე – გვ. 68, 75.

**მამაცაშვილი ერემია** – იოსებ მამაცაშვილის ბიძა – გვ. 48.

**მამაცაშვილი ერემიას მეუღლე** – იოსებ მამაცაშვილის ბიცოლა – გვ. 48.

**მამაცაშვილი ზაქარია** (1834–?) – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის შვილი, სასამართლოს ბოქაული, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი; მეუღლე – სოფიო ქარუმიძე – გვ. 48, 49, 50, 52, 60, 65, 67, 72.

**მამაცაშვილი ზაქარიას ნათლია** – ჟანდარმერიის პოლკოვნიკი – გვ. 49.

**მამაცაშვილი ზაქარია** (1782–1830) – იოსებ მამაცაშვილის ბიძა, რუისის დეკანოზი – გვ. 26, 33.

**მამაცაშვილი ილია** (1821–1876 წლამდე) – იოსებ მამაცაშვილის ძმა, პორუჩიკი, მომრიგებელი მოსამართლე ერევანში, მეუღლე – ანა ლორთქიფანიძე – გვ. 82.

**მამაცაშვილი (მამაცოვი) იოსებ** (1809–1874) – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის მეუღლე, მწერალი, საზოგადო მოღვაწე,



1832 წლის შეთქმულების წევრი, ვიატკაში გადასახლებული (1833–1836), გორის მაზრის მოსამართლე, საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულის წევრი, კავკასიის უზენაესი სასამართლოს თარჯიმანი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატის მრჩეველი, გორის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტატი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრი – გვ. 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 26, 27, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 46, 48, 49, 50, 52, 53, 55, 58, 59, 67, 69, 70, 72, 73, 76, 78, 79, 80, 81, 82, 84, 85.

**მამაცაშვილი კონსტანტინე** (1814–1900) – იოსებ მამაცაშვილის ძმა, საზოგადო მოღვაწე, თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი და თავმჯდომარე გორის მაზრიდან, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, გენერალ-ლეიტენანტი, ნიკოლოზ ბარათაშვილზე მოგონებების ავტორი, სათავადაზნაურო სკოლის ასაგებად თანხის გამლები – გვ. 30, 53, 54, 62, 64, 82.

**მამაცაშვილი კონსტანტინე (კოტე)** (1852–1918) – ნინო მელვინეთხუცესიშვილის შვილი, გენერალ-მაიორი – გვ. 5, 68, 69, 70.

**მამაცაშვილი მარიამ (მაშო)** (1827–1922) – ნინო მელვინეთხუცესიშვილის ქალიშვილი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი; სოფელ ხოვლეში მარიამის სახელობის სკოლის დაარსებით საფუძველი ჩაეყარა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; გიორგი ჯავახიშვილის მეუღლე – გვ. 5, 59, 60, 61, 62, 63, 64.

**მამაცაშვილი ნიკოლოზ (ნიკო)** (1832–?) – ნინო მელვინეთხუცესიშვილის შვილი, მეუღლე – ანა ამირეჯიბი – გვ. 38, 46, 47, 48, 49, 50, 52, 60, 67.

**მამაცაშვილი ნიკოლოზის გამზრდელი** – გვ. 47, 49.

**მამაცაშვილი ნიკოლოზ** (†1847) – იოსებ მამაცაშვილის ბიძა – გვ. 48, 50, 53.

**მამაცაშვილი სიდონია** – იოსებ მამაცაშვილის ბიცოლა – გვ. 48, 50.

**მამაცაშვილი ქრისტეფორე** (1839–1909) – ნინო მეღვინეთ-ხუცესიშვილის შვილი, გენერალ-მაიორი, თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის დირექტორი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი – გვ. 55, 67, 68, 72, 73.

**მამაცაშვილი ქაიხოსრო (ქრისტეფორე)** (1768–1838) – ბოქაული, იოსებ მამაცაშვილის მამა – გვ. 46, 47, 48, 49, 50, 55, 67, 82.

**მაჩაბლები** – გვ. 80.

**მეღვინეთუხუცესი გიორგი** – ნინო მეღვინეთუხუცესიშვილის ბიძა – გვ. 6.

**მეღვინეთუხუცესი თომა** – ნინო მეღვინეთუხუცესიშვილის პაპის ძმა, ერეკლე II-ის მემანდარი (ჯარის წინამძღოლი) – გვ. 6.

**მეღვინეთუხუცესი ლუარსაბ** – ნინო მეღვინეთუხუცესიშვილის ბიძა, ბერი ქვათახევის მონასტერში – გვ. 6.

**მეღვინეთუხუცესი პაატა** (†1821) – ნინო მეღვინეთუხუცესიშვილის პაპა – გვ. 6, 7, 9.

**მეღვინეთუხუცესი სვიმონ** (†1828) – ნინო მეღვინეთუხუცესიშვილის პაპის ძმა, არქიეპისკოპოსი მოსკოვში – გვ. 6.

**მეღვინეთუხუცესიშვილი დიმიტრი** (1818–1878) – ნინო მეღვინეთუხუცესიშვილის ძმა, ისტორიკოსი, მწერალი, სასამართლოსა და განჩინების პალატის კანცელარიის მოხელე, მარი

ბროსესთან ერთად თბილისის, გორისა და სიღნაღის ისტორიულ სიძველეთა აღმწერი (1848-1851) – გვ. 17, 18, 26, 29, 37, 47, 49, 52, 55, 57.

**მელვინეთხუცესიშვილი კონსტანტინე** (†1833) – ნინო მელვინეთხუცესიშვილის მამა – გვ. 5, 6, 8, 9, 10, 14, 15, 16, 17, 19, 21, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 49.

**მელვინეთხუცესიშვილი** – ნინო მელვინეთხუცესიშვილის და – გვ. 26, 32, 48, 52, 57.

**მინკელცი** – გვ. 76.

**მუსხელიშვილი ივანე** – მაიორი, იოსებ მამაცაშვილის დის, ელენეს მეუღლე – გვ. 34.

**ნაფეთბილერი** – ასეულის კაპიტანი – გვ. 58.

**ნეიდგარდტ ალექსანდრ (1784–1845)** – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მთავარმართებელი (1842–1844) – გვ. 57.

**ნიკოლაი ალექსანდრ (1821–1899)** – ბარონი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1852–1858), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1859–1862), სენატორი და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი (1863 წლიდან), სოფიო ალექსანდრეს ასული ქავჭავაძის მეუღლე – გვ. 76, 77, 78, 80, 82.

**ნიკოლოზ I (რომანოვ) (1796–1855)** – რუსეთის იმპერატორი (1825–1855) – გვ. 45, 50, 51.

**ორბელიანი ალექსანდრე (1802–1869)** – მწერალი, ისტორიკოსი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, ორენბურგში გადასახლებული (1834–1838) – გვ. 39.

**ორბელიანი გრიგოლ** (1804–1883) – პოეტი, საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, დაპატიმრებული და კავკასიის ხაზზე მოქმედ ჯარში გაგზავნილი; კავკასიის ომების, რუსეთ-ირანისა (1826-1828) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829) ომების მონაწილე; კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარე (1859), თბილისის გენერალ-გუბერნატორი (1860–1866) – გვ. 70, 71, 77, 78.

**ორბელიანი ილია** (1815–1853) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, გრიგოლ ობელიანის ძმა – გვ. 70, 71.

**ორჯონიკიძე გრიგოლ** – იოსებ მამაცაშვილის მამიდაშვილი, ხაზინადარი გორში – გვ. 49.

**ოქროპირ ბატონიშვილი (ბაგრატიონი)** (1795–1857) – გიორგი XII-ის შვილი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, კოსტრომაში გადასახლებული (1833) – გვ. 43.

**პაპარიგოპულო** – ელენე ნულუკიძის მეუღლე – გვ. 62, 65.

**პასკევიჩ ივან** (1782–1856) – რუსი გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მთავარმართებელი (1827–1831) – გვ. 14, 15, 16, 18, 26, 45.

**პეტრე საზანდარი** – გვ. 17.

**ჟულჩინსკაია** – ქალთა სასწავლებლის უფროსი – გვ. 73, 74.

**ჟურვინსკი** – კონსტანტინე მამაცაშვილის ბატარეის მეთაური – გვ. 55.

**რომანოვ მიხაილ (1832–1909)** – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ვაჟი, დიდი მთავარი, კავკასიის მეფისნაცვალი (1862–1882) – გვ. 82.

**რტიშჩევ ნიკოლაი** (1754–1835) – რუსი ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი (1812–1816) – გვ. 8.

**სამოევცკის ქერივი** – ნინო მეღვინეთხუცესის შვილის მეზობელი, მკერავი – გვ. 53.

**სკოროვ** – ექიმი – გვ. 85.

**სუმბათოვი** – პოლკოვნიკი – გვ. 43.

**ტერსტეფანიანები** – მამაცაშვილების მეზობლები გორში – გვ. 55.

**ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი) ნიკოლოზ** (1790–1855) – სახელმწიფო მოხელე, თბილისის გუბენატორი (1832–1837) – გვ. 52.

**ქარასიძე ნიკოლა** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის დედის, ბარბარე წინამძღვრიშვილის ნათლული – გვ. 31.

**ქარასიძე ნიკოლას დედა** – ბარბარე წინამძღვრიშვილის ნათლიდედა – გვ. 31.

**ქრისტინიჩ** – გვ. 76.

**ყორღანოვი** – გვ. 75.

**შექსპირ უილიამ** (1564–1616) – ინგლისელი პოეტი, დრამატურგი – გვ. 75.

**ჩივიანაშვილები** – ნინო მეღვინეთხუცესიშვილის მეზობლები – გვ. 32.

**ჩიხოსკი ბარბარე** – წინამძღვრიშვილების მეზობელი საგურამოში – გვ. 24, 25.

**ციციშვილები** – მამაცაშვილების მეზობლები გორში – გვ. 38.

**წინამძღვრიშვილი ანა** – ნინო მელვინეთხუცესიშვილის დედა – გვ. 5, 8, 9, 10, 11, 12, 13.

**წინამძღვრიშვილი ბარბარე** – ნინო მელვინეთხუცესიშვილის დედა – გვ. 13, 18, 19, 20, 24, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 37, 38, 43, 44, 47, 48, 49, 52, 53, 55, 56, 60, 67.

**წინამძღვრიშვილი გაბრიელ** – დრაგუნთა პოლკის კაპიტანი, ნინო მელვინეთხუცესიშვილის ბიძა – გვ. 11, 12, 14, 15, 18, 21, 26, 37, 41, 46, 47, 48, 52.

**წინამძღვრიშვილი თინათინ** – ნინო მელვინეთხუცესიშვილის ბიძაშვილი – გვ. 18, 29, 30.

**წინამძღვრიშვილი ივანე** – ხერსონის პოლკის პოდპორუჩიკი, ნინო მელვინეთხუცესიშვილის ბიძა, პედაგოგისა და პუბლიცისტის, წინამძღვრიანთკარში სკოლის დაამარსებლის – ილია წინამძღვრიშვილის მამა – გვ. 11, 12, 14, 15, 17, 18, 21, 22, 30, 31, 35, 41.

**წინამძღვრიშვილი ივანეს მეუღლე** – გვ. 31, 35.

**წინამძღვრიშვილი იოსებ** (†1821) – დეკანოზი, ნინო მელვინეთხუცესიშვილის პაპა (დედის მამა), ერეკლე II-ის მოძღვარი – გვ. 8, 56.

**წინამძღვრიშვილი ნიკოლოზ** (†1830) – ნინო მელვინეთხუცესიშვილის ბიძა – გვ. 11, 12, 14, 18, 21, 24, 25, 26, 38, 41, 49.

**წინამძღვრიშვილი პეტრე** (†1830) – ლეიბკაზაკთა გვარდიის კაპიტანი, წინო მელვინეთხუცესიშვილის ბიძა – გვ. 11, 12, 14, 15, 18, 21, 24, 25, 41, 43, 49.

**წინამძღვრიშვილი** – წინოს ბებია (დედის დედა) – გვ. 11, 12, 17, 19, 21, 22, 23, 24.

**წინამძღვრიშვილი** – იოსებ მამაცაშვილის მეგობარი – გვ. 17, 18, 19.

**წულუკიძე დავით** – კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილის სიმამრი – გვ. 62, 63.

**წულუკიძე დავითის მეუღლე** – გვ. 65.

**წულუკიძე ელენე** – მარიამ მამაცაშვილის მეგობარი, კონსტანტინე მამაცაშვილის ცოლისდა – გვ. 62, 63, 64, 65, 66, 67.

**წულუკიძე ნატალია** – კონსტანტინე მამაცაშვილის მეუღლე – გვ. 62, 65.

**ჭავჭავაძე ალექსანდრე** (1786–1846) – პოეტი, რუსეთში ერეკლე II-ის ელჩის – გარსევან ჭავჭავაძის შვილი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი – გვ. 9, 10, 78.

**ჭავჭავაძე წინო** (1812–1857) – ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილი, რუსი მწერლისა და დიპლომატის – ალექსანდრ გრიბოედოვის მეუღლე – გვ. 9.

**ჭავჭავაძე სოფიო** (1833–1862) – ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი, ბარონ ნიკოლაის მეუღლე – გვ. 78.